# საერთო გაზეთი

№14 (472) • 11 აპრილი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ფიქრები მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის შესახებ

„საქართველოს ხელისუფლება შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

**დავით ოქიტაშვილი:**

**საზოგადოების ვალია, ცილისწამებისგან დაიცვას ადამიანები და მათ შორის ბიძინა ივანიშვილიც, რომელმაც თავის დროზე ჩვენ დაგვიცვა მოძალადე მანქურთებისგან**

**ნიკოლოზ მქავანაძე:**

**დიდ ოთხშაბათს, ქრისტეს გაცემის დღეს, ქართველ პარლამენტართა ერთმა ნაწილმა, ნინია კაკაბაძის მხარდაჭერით, კიდევ ერთხელ გასცა ქრისტე...**

**სოსო მანჯავიძე:**

**უსულ-თურქულ-ირანული ალიანსის შექმნამ, შეიძლება, საბედისწერო როლი ითამაშოს საქართველოსთვის**

## ქრისტე აღსდგა!

**გემუდარები, ნუ დამტოვებ, მამაო, ობლად...**

## სოდომის მაფია

## დიდი ბედუინის საიდუმლო საყვარლის აღიარება

**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# ფიქრები მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის შესახებ

**ვახტანგ ხარჩილავა:**

ხანდახან მეჩვენება, რომ ჩვენი საზოგადოება ზედმეტად ინერტული გახდა და ისეთ საკითხებზეც კი ნაკლებად რეაგირებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისთვის და იმ სახელმწიფოსთვის, რომელშიც ცხოვრობს.

ეს რომ არ იყოს, დღეს საზოგადოების აქტიური მონაწილეობით გაცხოველებული სჯა-ბაასი და დებატები უნდა მიმდინარეობდეს იმის გარშემო, რომელსაც მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივა ჰქვია.

მე, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე და ჩემთან ერთად ძალიან ბევრი, წლებია, ველოდებით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას საქართველოს მხრიდან.

ასე რომ, ეს ინიციატივა არ არის მხოლოდ მთავრობის ინიციატივა, ის საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილის სურვილს და მისწრაფებას გამოხატავს, რომლებიც თვლიან, რომ პირველი ნაბიჯები ჩვენი ძმებისკენ, აფხაზებისა და ოსებისკენ, სწორედ ჩვენ, ქართველებმა, უნდა გადავდგათ, რადგან მთავარი პასუხისმგებლობა ყველაფრის გამო, რაც ქართულ სახელმწიფოში ხდება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ, ქართველებს ,გვაკისრია.

„ეს არის სამშვიდობო ინიციატივა — „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. საქართველოს ხელისუფლება შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამყოფი ხაზების გასწვრივ კონტაქტების, მიმოსვლის, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების წახალისებას.

ეს არის კიდევ ერთი ღია განაცხადი, რომ სამშვიდობო პოლიტიკის კურსი, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ აიღო, აუცილებლად გაგრძელდება. მიუხედავად უამრავი გამოწვევისა, ეს არის ჩვენი ურყევი კურსი, რომელიც თანმიმდევრულად გაგრძელდება. ეს არის ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვუპირისპირებთ გამოწვევებს და, რა თქმა უნდა, ეს ნაბიჯი მიზნად ისახავს ნდობის აღდგენასა და შერიგების პროცესის გააქტიურებას“, — განაცხადა ამ ინიციატივის პრეზენტაციაზე პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა**, რომლის სასახელოდაც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს მის მიერ გადადგმული ნაბიჯები უაღრესად საინტერესო, თამამი და პრაგმატული ხასიათისაა, დაწყებული მისი ცნობილი მიმართვიდან რუსეთის ხელისუფლებისადმი და დამთავრებული ამ ბოლო ინიციატივით.

რამდენი არ უნდა ამტკიცოს ოპოზიციამ, რამდენი გმირულ-ჰეროიკული შინაარსის განცხადებებიც არ უნდა აკეთონ ფსევდო-პატრიოტებმა, რა ხმაურიც არ უნდა ატეხონ ავანტურისტებმა და პროვოკატორებმა, **შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გიორგი კვირიკაშვილის მიმართვის ტექსტი რუსეთის ხელისუფლებისადმი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით არის ნასაზრდოები და მასში არაფერი არ არის ისეთი, რამაც შეიძლება ჩვენს ქვეყანას რაიმე სახის ზიანი მოუტანოს.**

პირიქით, ეს მიმართვა არის ერთგვარი გარღვევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, რომლის გაკეთებასაც საკმაოდ დიდი გამბედაობა და პოლიტიკური სიმამაცე სჭირდებოდა.

ეს მიმართვა რომ არა, ალბათ, არ იქნებოდა მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივაც, რომელიც სრულიად უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობისათვის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებლად, არამედ ქართველ თანამემამულეებთან პირდაპირი დიალოგის დასაწყებად, რომელიც აუცილებელია როგორც მათთვის, ასევე ჩვენთვის, რომ ბოლოს და ბოლოს დნობა დაიწყოს ჩვენს შორის აღმართულმა იმ ყინულის ჯებირებმა, რომლებიც საშუალებას არ გვაძლევს ერთმანეთთან ახლოს მივიდეთ და ერთმანეთი ხელახლა ვიგრძნოთ.

ვინც აფხაზებთან და ოსებთან პირისპირ დალაპარაკებას დაუშვებლად მიიჩნევს, ის შეურაცხყოფას აყენებს აფხაზებსა და ოსებს, ლახავს მათ ღირსებას და თავმოყვარეობას, რადგან ამით პირდაპირ მიანიშნებს, რომ ოსებთან და აფხაზებთან დიალოგს აზრი არ აქვს, რადგან მათ არავინ ეკითხება, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ და რა გზას უნდა დაადგნენ.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შეცდომაა,

**არადა, იმდენი შეცდომები გვაქვს დაშვებული, ძველი შეცდომებისღვის კიდევ ახლის დამატება, ცხადია, არ ღირს.**

**ამ შეცდომებიდან ყველაზე მთავარი, ყველაზე საბედისწერო მაინც ის იყო, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა თავისუფლება მოვიპოვეთ, უცებ გაირკვა, რომ ეს თავისუფლება მხოლოდ ჩვენთვის გვინდოდა, ხოლო აფხაზებს და ოსებს, რომლებმაც რეფერენდუმზე ერთხმად დაუჭირეს მხარი ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ისეთი ვერაფერი შევთავაზეთ, რაც მათ მონაწილეობას ახალი ტიპის საქართველოს მშენებლობაში განსაკუთრებულ ფუნქციას და მისიას შესძენდა.**

რთული და ვრცელი თემაა ეს და მასზე საუბარს აქ ვერ გავაგრძელებ, თუმცა ვიტყვი ერთს: საგაჭრო ურთიერთობების აღდგენა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზების ძიება და ახალი ინიციატივების და იდეების შეთავაზება ოსთა და აფხაზთათვის, ცხადია, მისასალმებელია, მაგრამ არასაკმარისი.

სანამ ჩვენ, ქართველები, არ გავაკეთებთ მიუკერძოებელ, ობიექტურ ანალიზს იმისა, თუ რა მოხდა 90-იან წლებში, თუ გულწრფელად არ ვაღიარებთ და არ მოვინანიებთ ჩვენს წილ ცოდვებს და შეცდომებს, თუ ახალ პოლიტიკურ ენაზე არ ავმეტყველდებით, ყველა მცდელობა ფუჭად ჩაივლის.

ჩვენ, ქართველები, აფხაზები, ოსები ერთმანეთში ვიწყებით და ერთმანეთში ვგრძელდებით, ამიტომაც დაპირისპირება ჩვენს შორის — ეს არის დაპირისპირება საკუთარ თავთან, დაპირისპირება, რომელიც ძალიან ჰგავს თვითმკვლელობის მცდელობას.

ჩვენ ერთად უნდა გადავრჩეთ — სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

სწორედ ეს ქვეტექსტი გასდევს საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას ლაიტმოტივად.

**სამშვიდობო ინიციატივების საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი** სამ ძირითად მიმართულებას გულისხმობს.

**„პირველი** — ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის გაფართოება და გამარტივება ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით; ინიციატივის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გავლით ვაჭრობასთან დამაკავშირებელი ინდივიდუალური და საერთო ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება.

**მეორე** — ხარისხიანი განათლების მიღების დამატებითი შესაძლებლობების შექმნა და წვდომის გამარტივება განათლების ყველა საფეხურზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ; ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდები, მათი განათლება და კეთილდღეობა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს. ეს არის სწორედ ის თაობა, რომელმაც უნდა იცხოვროს ერთად გაერთიანებულ საქართველოში და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მშენებლობის პროცესში.

**მესამე მიმართულებაა** ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლითაც მარტივდება წვდომა იმ სიკეთეებსა და სარგებელზე, რომლებიც ქვეყნის განვითარების შედეგად, მათ შორის ევროინტერგაციის გზაზე, ხელმისაწვდომი გახდა — ეს არის უვიზო მიმოსვლის უფლება, თავისუფალი ვაჭრობის უფლება და ა. შ.“

როგორც ხედავთ, სრულიად ახალი ხედვებია, სრულიად ახალი პოლიტიკური სინტაქსი, სრულიად ახალი მოდელი, რომლის განხორციელებისთვის ეროვნული კონსოლიდაცია, ეროვნული თანხმობა და ერთიანობაა საჭირო.

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს მთავრობის აღმა ხნულს ვიღაც-ვიღაცები ამჯერად მაინც არ დაუწყებენ დაღმა ფარცხვას და ქვეყნის ინტერესებს საკუთარ ვიწრო პარტიულ ინტერესებს არ შესწირავენ...

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

# საზოგადოების ვალია, ცილისწამებისგან დაიცვას ადამიანები და მათ შორის ბიძინა ივანიშვილიც, რომელმაც თავის დროზე ჩვენ დაგვიცვა მოძალადე მანქურთებისგან

## „ვიღაც ცდილობს მოსახლეობის გაღიზიანებით ის ძალა გააცოცხლოს, რომელსაც ქართველმა ერმა უარი უთხრა“

**„სირცხვილი და უნამუსობაა, რასაც მიხეილ სააკაშვილი ამბობს. მკვლელი და საქართველოს დამღუპველი როდესაც ასეთ განცხადებებს აკეთებს, ეს არის ქვეყნისთვის უბედურება. მე გამოვდივარ ინიციატივით და მოვუწოდებ მთელ საქართველოს, რომ შევიკრიბოთ და დავიცვათ ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი შემოტევებისგან“. ოქიტაშვილის მოწოდებას ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერთა მძაფრი რეაქცია და კულტურის პალატის პრეზიდენტის მისამართით ბრალდებათა კასკადი მოჰყვა. დავინტერესდით რატომ გახდა ასეთი მოწოდების გაკეთება საჭირო და კომენტარისთვის ДАВИТ ОЖИТАШВИЛს დავუკავშირდით:**

– საზოგადოებამ ჩემი მოწოდება არასწორად გაიგო. ბიძინა ივანიშვილს არავის დაცვა არ ჭირდება, იმიტომ, რომ ამ ადამიანმა მთელი ქვეყანა და თითოეული ოჯახი გადაარჩინა. დაცვაში ვიგულისხმე, რომ ნებისმიერი ადამიანი ბიძინა ივანიშვილი იქნება, დათო ოქიტაშვილი თუ სხვა, დაცული უნდა იყოს ცილისწამებისგან. როცა მავანი 24 საათი გაიძახის, რომ ივანიშვილმა რაღაცა დაწვა, რაღაცა ამოთხარა და რაღაცა რუსეთს მიყიდა, საზოგადოება უნდა შეიკრიბოს და ამაზე თავისი აზრი დააფიქსიროს. ელემენტალურ მაგალითს გეტყვით.. არასწორი ინფორმაციის გამო, საზოგადოების ნაწილს ჰგონია, რომ ბატონი ბიძინა ამ ხეებს მოსახლეობის ნების საპირისპიროდ თხრის და თავის ეზოში რგავს. ჯერ ერთი, მისი სახლიდან იმ ადგილამდე, სადაც უნიკალური ბაღი შენდება, ორი კილომეტრია და ამასთან, ხეების ამოღება პატრონების ნებართვით და სოლიდური კომპენსაციების გადახდის შემდეგ ხდება. ბოლოს და ბოლოს, ეს ბაღი ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის კეთდება და მადლობას თუ არ ვამბობთ, ცილს მაინც არ უნდა დავწამოთ. ყველა ჩვენგანის უკან ოჯახი, მშობლები და შვილები დგანან და ისინი უსაფუძვლო ცილისწამებას ყველაზე მეტად განიცდიან. მიმაჩნია, რომ ადამიანი, რომელმაც თავის დროზე ჩვენ დაგვიცვა, ამას არ იმსახურებს. ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილის კლანს ვერავინ მოერეოდა ბიძინა ივანიშვილის გარდა და ამიტომ არიან გაგიჟებულები.

**– როგორც ვიცი, ამ მოწოდების შემდეგ, სააკაშვილის მხარდამჭერების თავდასხმის ობიექტი გახდით და შეიძლება ითქვას, რომ თავადაც დასაცავი ხართ..**

– რა ვთქვი ისეთი განსაკუთრებული, რომ სრულიად სანაცეთი პიჯაკიდან ამოვარდა? მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ასეთ ლანძღვა-გინებას მივეჩვიე და ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო. როცა მაკრიტიკებენ, სოფიკო ჭიაურელის სიტყვები მახსენდება — უბედურება ისაა, როცა შენზე არაფერს ამბობენ. თუ გლანძღავენ, ვიღაცას აინტერესებო. ასე, რომ რამდენიც უნდა მლანძღონ და მაგინონ, ეს მხოლოდ მაძლიერებს, მაგრამ ამ ადამიანებისთვის წმინდა არაფერი არსებობს და იქამდე მივიდნენ, რომ ჩემი სამი თვის შვილიშვილსაც კი ლანძღავენ. მათ ყველაზე მეტად საზოგადოების შეკრების ეშინიათ, რადგან ამ შეკრებას მოჰყვება გადაწყვეტილება, რომელიც მათთვის განაჩენი იქნება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მოწოდებას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა და უამრავმა დახმარების ხელი გამომიწოდა. ჩვენ აუცილებლად დავთქვამთ დღეს და შევიკრიბები თ. ნაციონალურ მოძრაობას პასუხი თუ არ გავეცით, ყოველგვარ ზღვარს გადადიან. საინტერესოა, სააკაშვილს, რომელმაც კარიერის გამო, მოქალაქეობა დათმო, ახლა რატომ გაახსენდა საქართველო?

**– სამწუხაროდ, სახელისუფლებო გუნდშიც ბევრი პრობლემაა, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად ნინია კაკაბაძის არჩევის შემდეგ განვითარებულმა პროცესებმაც დაადასტურა.**

– გეთანხმებით. ვატყობ, რომ შიგნიდან რყევა დაიწყო, ამიტომ **„ქართული ოცნება“ დროულად უნდა გამოფხიზლდეს. როგორც ვიცი, უმრავლესობის დატოვებაზე გედევან ფოფხაძის გარდა, სხვებიც ფიქრობენ. გული მწყდება, რომ ასეთი მოქმედებებით ნაციონალურ მოძრაობას საშუალებას ვაძლევთ, რომ ადამიანები ლანძღონ და ლაფი ასხან.** დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც ცუდის აგორებას ცდილობენ, მაგრამ საბედნიეროდ, საზოგადოებაში მხარდაჭერა არ აქვთ და არასოდეს ექნებათ.

მე „ქართული ოცნების“ პარტიის წევრი არ ვარ, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი გახლავართ. შესაბამისად, პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე ამ ადამიანებს ხმას არავინ მისცემდა. იმის ნაცვლად, რომ მის გვერდით დადგნენ და ცილისწამებისგან დაიცვან, ზოგიერთებმა ბუჩქებში დამალვა ამჯობინეს. **არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ბევრის მსგავსად, მეც მაქვს განცდა, რომ „ქართული ოცნების“ ფიგნით ღალატს აქვს ადგილი.** თუნდაც ის, რაც ახლახან მოხდა. იმის ქვოტა იყო თუ ამის ქვოტა, „ქართული ოცნების“ დეპუტატების გადაწყვეტილებამ საზოგადოება გააღიზიანა. როგორ შეიძლება საზოგადოებრივ არხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, რომელსაც მოსახლეობა თავისი ჯიბიდან აფინანსებს, აირჩიონ ადამიანი, რომელიც უწმინდესს ლანძღავს? საზოგადოებას კითხონ, უნდა თუ არა ამ პოზიციაზე ნინია კაკაბაძის ხილვა და საზოგადოებამ გადაწყვიტოს ვის აძლევს ხმას. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ვიღაც განგებ ცდილობს მოსახლეობის გაღიზიანებას, რომ ის ძალა გააცოცხლოს, რომელსაც ქართველმა ერმა უარი უთხრა. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი კარგადაა. რა თქმა უნდა, არის უმუშევრობა და გაჭირვება, მაგრამ ხელისუფლებას ისეთი უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა, რომ ამის გამოსწორებას დრო უნდა. თუ რომელიმე სამინისტრო ცუდად მუშაობს, კეთილი ვინებოთ და პასუხი მის ხელმძღვანელობას მოვთხოვოთ და არა ივანიშვილს. ეს უმადურობაა ოჯახის მიმართ, რომელმაც თავი გადადო, რომ ქვეყანა მანიაკებისგან გაეთავისუფლებინა. ამ ადამიანს ეს არაფერში ჭირდებოდა. საერთოდ არ მოვიდოდა პოლიტიკაში და მშვენივრად იცხოვრებდა, როგორც მანამდე ცხოვრობდა. ზოგიერთებისგან განსხვავებით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბუჩქებში არ დამალულან და ყველა უსამართლო ცილისწამებას პასუხს გასცემენ. ის ოჯახები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა არაერთი უბედურებისგან იხსნა, არსად წასულან. ისინი აუცილებლად შეიკრიბებიან და ამ მანქურთებს პასუხს გასცემენ.

ნელი თორდია
571 35 36 88

## ნიკოლოზ მჭავანაძე:

# სიმბოლურია, რომ სწორედ დიდ ოთხშაბათს, ქრისტეს გაცემის დღეს, ქართველ პარლამენტართა ერთმა ნაწილმა, ნინია კაკაბაძის მხარდაჭერით, კიდევ ერთხელ გასცა ქრისტე...

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჭავანაძე.***

უმრავლესობის წარმომადგენელმა რამდენიმე ათეულმა დეპუტატმა, აღდგომის წინა დღეებში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდის წევრად აირჩია ეკლესიის მტერი, ადამიანი, რომელიც დეკლარირებულად ებრძვის პატრიარქს, ლანძღავს უწმინდესს და საღებავით თხუპნის ეკლესიის კედლებს. ყველაზე გასაკვირი ისაა, ზვიად ძიძიგურმა რომ დაუჭირა მხარი ნინია კაკაბაძის კან-

დიდატურას, თორემ ფსევდოლიბერალებისგან არაფერი მიკვირს. ძალიან მაინტერესებს როგორ შევლენ ეკლესიაში იგივე „ქართული ოცნების“ ის წევრები, რომლებმაც მხარდაჭერა გამოუცხადეს ღვთისმგმობელ კაკაბაძეს, დაანთებენ სანთლებს და თვალებში შეხედავენ პატრიარქს. მრევლის ადგილას, მე მათ ეკლესიაში არ შევუშვებდი, რადგან ისინი ფარისევლები არიან. მე ათეისტების მიმართ, რომლებიც ღიად ამბობენ, რომ არ სწამთ ღმერთი, არ უყვართ ეკლესია და პატრიარქი იმდენი აგრესია არ მაქვს, რამდენიც ხსენებული პერსონების მიმართ, რომლებიც მორწმუნეობაზე სდებენ თავს და ვითომ ძალიან უყვართ პატრიარქი. ფარისევლების გარდა რა უნდა უწოდო იმ ადამიანებს, რომლებიც ეკლესიის მტერს უჭერენ მხარს, რომ მან მერე სახელმწიფო ტელევიზიაზე გააკეთოს ეკლესიის საწინააღმდეგო გადაცემები, ხალხის გულისწყრომის შემდეგ კი ბოდიშებს იხდიან. სახარებაში წერია, რომ სწორედ ის ხალხი დაისჯება უფრო მეტად, ვინც ორმაგ თამაშს თამაშობს. ისე, სიმბოლურია, აღდგომის წინა დღეებში, დიდ ოთხშაბათს, როცა ქრისტე გასცეს, იმ დღეს გამოუცხადეს მხარდაჭერა უმრავლესობის დეპუტატებმა ქრისტეს მგმობელ კაკაბაძეს, რითაც ფაქტობრივად გასცეს ქრისტე. არც ერთ მათგანს არ გაუპროტესტებია იმ ახალგაზრდების სისხლის სამართლის დამნაშავეებად გამოცხადება, რომლებიც უფლის შეურაცხოფის გაპროტესტების გამო დაიჭირეს.

ესენი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსაც ებრძვიან, პრემიერის რუსეთისადმი ცნობილი მიმართვის შემდეგ, გამოხტნენ ეს სოროსელები და ორაზროვანი განცხადებები გააკეთეს. ზუსტად ესენი დაუპირისპირდნენ თავის დროზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. ეს ადამიანები უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ არიან „ჩანერგილი“ ხელისუფლებაში იმისთვის, რათა ამ ქვეყნების ინტერესები გატარდეს საქართველოში. ძალიან დიდი დილემის წინაშე ვდგავართ, „ქართული ოცნება“ თუ დაიშლება, ხელისუფლება კარგავს უმრავლესობას პარლამენტში, რადგან იქ ძალიან დიდი რაოდენობით არიან თავშეყრილი ფსევდოლიბერალები, რომლებიც არ არის გამორიცხული კოლექტიურ ნაცმოძრაობას, მათ იდეურ „პარტნიორს“ შეუერთდნენ. ხელისუფლებაში მოსული სოროსის ლეკვები დღეს თუ ფარულად ებრძვიან ბიძინა ივანიშვილს, მოკლე ხანში ღიად დაუწყებენ ლანძღვას.

ბიძინა ივანიშვილი კაი ხანია გაემიჯნა ამათ, ტატუნაშვილის დასაფლავებაზე რომ იყო მისული, არც დალაპარაკებია „ქართული ოცნების“ დეპუტატებს, აღარ ერევა პოლიტიკურ პროცესებში, არც ბოლო არჩევნებში ჩარეულა. ვფიქრობ, რაც ახლა სახელმწიფო ტელევიზიის ბორდთან დაკავშირებით მოხდა, არის წყალგამყოფი, აუცილებლად უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, „ქარ-

თულმა ოცნებამ“ უნდა აღიაროს, რომ შეცდომა დაუშვა, თუ პარტია არ გაიწმინდა „ჩანერგილებისგან“, მას მომავალი არ ექნება.

მე არც ის გამიკვირდება, რომ მათ მიხეილ სააკაშვილსაც დაუჭირონ მხარი, სადაც ნინია კაკაბაძეს უჭერენ მხარს, სააკაშვილის მხარდაჭერა შერცხვებათ და გაუჭირდებათ? აბსურდია იმის თქმა, რომ „ქართული ოცნება“ ერთი გუნდია, რომელ ერთიანობაზეა საუბარი, როცა საკუთარ პრემიერ-მინისტრს არ უჭერენ მხარს. ნიკა მელია რომ დაუპირისპირდა გიორგი კვირიკაშვილს, პრემიერის დასაცავად ხელი არ გაუნძრევია თუნდაც გაუკეთებია მინისტრთა კაბინეტს. უმრავლესობის წევრი გია გაჩეჩილაძე და გიორგი ვაშაძე რომ შეკამათდნენ, ამათ გაჩეჩილაძეც მიატოვეს. ეს არის ყოვლად უპრინციპო, ამაზრზენი ძალა. ბიძინა ივანიშვილს რომ ლანძღავენ ნაცები და მათი სატელიტები, რომელიმეს ამოუღია ხმა? ამიტომაც ვიყავი სასტიკი წინააღმდეგი, რომ „ქართული ოცნების“ სახელით შესულიყო ეს დეპუტაცია პარლამენტში. ჩუგოშვილის გვარი რომ გავიგე, გავოგნდი, „ქართული ოცნების“ ფანკლუბის წევრებს ნაცები რომ აკერიათ პირზე, „ჩუგოშვილსა და კომპანიაზე“ დიდი ნაცი ვინღაა? სააკაშვილმა ვერავინ რომ ვერ მონახა 26 მაისის დარბევის „გასაპრავებლად“, ჩუგოშვილმა გამოუცხადა „თანადგომა“. ამ ქალბატონმა აუნთო „მწვანე შუქი“ ამერიკის ელჩთან ერთად სააკაშვილს, ჩუგოშვილმა ბრძანა, ეს აქცია უნდა დაირბესო და მაგის მერე მოხდა ის საშინელება. ადამიანს, რომელსაც სისხლში აქვს გათხვრილი ხელები, ის რომ გეყოლება პარლამენტის ვიცე-სპიკერად, რომელიც ჰლიუს ამას ხელს უშლის თავის „თანამოაზრე“ პარლამენტარებთან“ ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეს ხალხი, ქართული ოცნების გარდა ყველაფერია, ზოგი აზერბაიჯანული ოცნებაა, ზოგი სომხური, ზოგი თურქული და ა.შ. ამათ ქართველი ხალხის ოცნების ახდენა კი არა, თავიანთი დასავლელი დამფინანსებლების ოცნების ახდენა უნდათ საქართველოში. სახალხო დამცველად „დასმული“ ნინო ლომჯარია ისეთ ანტიეროვნულ განცხადებებს აკეთებს, რომ უკვე უჩა ნანუაშვილს გაუსწრო. ნანუაშვილს უფლებამოსილების ვადა რომ ამოეწურა, გვიხაროდა, ნორმალური ადამიანი მოვა სახალხო დამცველადო, მაგრამ უარესი მივიღეთ. სახალხო დამცველად დაგვისვეს ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ თუ კონსტიტუციაში არ ჩაიწერა ერთსქესიანთა ქორწინება, მაშინ სამოქალაქო პარტნიორობა უნდა დავაკანონოთო, ეს არის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე? რა მნიშვნელობა აქვს ქორწინებას დაარქმევ თუ სამოქალაქო პარტნიორობას, თუ ეს კანონით იქნება დაშვებული, ერთსქესიანებს ეკლესია ისედაც არ დასწერდა ჯვარს. ვენეციის კომისიის წარმომადგენელმა ბუკიკიომ ხომ თქვა, საქართველოში

გაგვიჭირდა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მაგრამ ჩვენსას მაინც მივაღწევთო, გააკეთებენ კიდეც ჩუგოშვილების, მდინარაძეების, მათიკაშვილების ხელით. მე იმის მეშინია, გამწარებული ხალხი არ მიუვარდეს ამათ და უბედურება არ დატრიალდეს.

**სასჯელაღსრულების სამინისტრო ერთადერთი ნათელი წერტილია სახელმწიფო სტრუქტურებში, კახა კახიშვილისთანა მინისტრს ბევრი ევროპული ქვეყანა ინატრებს, ლომჯარია კი უჩხიკინებს ამ უწყებას, საპატიმროებში სერიოზული პრობლემები გვაქვს ჯანდაცვის და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხითო.** ფსევდოლიბერალებს უნდათ, რომ ერთადერთი სისტემა, რომელიც გამართულად მუშაობს, დაანგრიონ. საკაშვილის რეჟიმი ციხეებში არსებული საზარელი პირობების გამო დაიშალა, ახლა ამიტომ უჩხიკინებს ეს სექტა სასჯელაღსრულების სისტემას, რომ ხელოვნურად შექმნან იქ პრობლემა. ყოველივე ამის შემდეგ, ლომჯარიაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც ძლიერი, გამართულად მომუშავე სტრუქტურის დანგრევა უნდა და პარალელურად ეკლესიას ებრძვის? ესენი არიან გაკოტრებული პოლიტიკოსები

ჯერჯერობით გელევან ფოფხაძეს ეყო ვაჟკაცობა და გაემიჯნა ამ ყველაფერს, იმედია, სხვებიც გამოჩნდებიან. ფსევდოლიბერალები მარტო პოლიტიკიდან კი არ უნდა წავიდნენ, მათ შეიძლება საქართველოდანაც მოუწიოთ წასვლა, რადგან თავიანთი ქმედებებით, სულში ჩააფურთხეს ქართველ ერს.

„ომბუდსვუმენი“ ლომჯარია თუ ერთსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას ითხოვს, მისი „სულიერი“ და სოფო ვერძეული ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისების აკრძალვას აპროტესტებს. ვერძეულის პროტესტს „კეთილშობილური“ მოტივი ჰქონია, მარტო მთავრობას რომ აქვს მიწის უცხოელებზე გასხვისების უფლება, ეს კორუფციის წყარო გახდებაო. სხვათა შორის, ეს განცხადებები საეჭვოდ დაემთხვა „ქართული მარშის“ წევრების ციხეში გამომწყვდევას, რომლებიც ერთსქესიანთა ქორწინების და ქართული მიწის უცხოელებზე გასხვისების კატეგორიული წინააღმდეგები არიან.

ეს „ენჯეოშნიკები“ სხვა და სხვა სახელის ქვეშ მოქმედი ერთი გუნდია, ორი არასამთავრობო ორგანიზაცია, მათი სახელები ზუსტად აღარ მახსოვს, ქართულ ეკლესიას და ხელისუფლებას ერთობლივ რეჟიმში

დაუპირისპირდნენ. სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი სადაო ტაძარი მართლმადიდებლურ ეკლესიას მიეკუთვნა, ეს ორგანიზაციები სომხურ ეკლესიასთან ერთად იბრძვიან, ეს ტაძარი ქართული კი არა, სომხურიაო. ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია თუ ხარ, რატომ უნდა დაიცვა უცხო ქვეყნის ინტერესები, ან რატომ უნდა იცავდე უცხოელებზე ქართული მიწის გასხვისების საკითხს, რატომ უნდა ითხოვდე ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას? დღეს ყველა ტელევიზია „ბახალას“ ეროვნულ გმირად წარმოგვიდგენს, ნარკოტიკების გამსაღებლები თურმე ანგელოზები ყოფილან. ამ დროს ის ბიჭები, რომლებმაც უფლის შეურაცხყოფა გააპროტესტეს, თურმე ქსენოფობები არიან. იმ უბედურებაში, რაც ჩვენს თავს ტრიალებს, ყველაზე დიდი დამნაშავე ტელევიზიები არიან. ძალიან ცუდი გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, რომ იმ ტელევიზიებსა და მათ ჟურნალისტებს, რომლებიც წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ (და დღესაც ემსახურებიან) ნაციონალების სისხლიან რეჟიმს, საქმიანობა არ აუკრძალეს. გერმანელი ნაცისტები რომ დაამარცხეს, ევროპის ბევრ ქვეყანაში თავი გადაპარსეს, სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ის ხალხი, მათ შორის კულტურის მოღვაწეები და ჟურნალისტები, ვინც ჰიტლერთან თანამშრომლობდა. „ქართულმა ოცნებამ“ კი ნაციონალების ჯიბის ჟურნალისტების ნაწილი სახელმწიფო კანცელარიისა და სხვა უწყებების პრესცენტრებში გადაანაწილეს, ფაქტობრივად უმუშევარი არავინ დაუტოვებიათ. ნაწილი დარჩა ტელევიზიებში, რომლებიც კვლავ ნაცების ხელშია და სისტემატურ რეჟიმში იფრქვევა იქიდან შხამი. ბადრი პატარკაციშვილისთვის წართმეული „იმედი“, ძველ მფლობელებს კი დაუბრუნდა, მაგრამ „რუსთავი-2“-ზე უფრო საზიზღარი ტელევიზია გახდა. თურმე ქსენოფობია ყოფილა ქართული მიწის და ეროვნული იდენტობის დაცვა, თურმე ვერ ვიტანთ

6 გვ.

# რუსულ-თურქულ-ირანული ალიანსის შექმნამ, შეიძლება, საბედისწერო როლი ითამაშოს საქართველოსთვის

*გვესაუბრება ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე*

**— ბატონო სოსო, დიდი ხანია საქართველოს პოლიტიკურ წრეებში და ქართულ მედიაში აქტიურად საუბრობენ ე.წ. რუსულ აგენტურაზე. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გამოვიცნოთ რუსეთის აგენტი?**

— ეს მარტივია, რადგან რუსეთის სახელმწიფო კაპიტალით დაფუძნებული უამრავი კომპანია საქართველოში აბსოლუტურად ლეგალურად მუშაობს. მაგალითად, მთელი ენერტეგიკის სექტორი, რაოეესი, ენერგო-პრო, ფეროშენადნობთა ქარხანა, ჭიათურმანგანუმი და ა. შ. ვი-თი-ბი ბანკი, თბილისის წყალი და მრავალი სხვა სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტი, რომლებიც რუსეთის სახელმწიფო კაპიტალით არიან დაფუძნებული. მათ უკან ბუნებრივია, რუსეთის სახელმწიფო ინტერესები დგას.

ცალკე კვლევის საგანია, რა ბიზნესწილები და რა კავშირები აქვთ რუსეთთან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ვთქვათ, ძმებ ბეჟუაშვილებს, ან გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც მუშაობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოსმოსისა და ბირთვული შეიარაღების განყოფილებაში. თუმცა ის დღეს პოზიციონირებს, როგორც რუსეთის სასტიკი მოწინააღმდეგე. ასევე იქცევიან მთელი რიგი ე.წ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც, რომლებიც უკომპრომისო კრიტიკოსები, მეტიც, თითქოსდა, მტრები არიან რუსეთის, ახლოით განჩხრეკისას კი აღმოჩნდება ხოლმე, რომ ისინი სწორედაც რუსეთში არსებული ბიზნესებით საზრდოობენ.

ახლა მომაგონდა ვინმე მამუკა გამყრელიძე, რომელსაც, აღმოჩნდა, რომ დიდი ბიზნესები აქვს რუსეთში. თუ გახსოვთ, ამ ადამიანს შოუ მიჰყავდა „რუსთავი-2“-ზე. ისიც გამწარებული აგინებს რუსებს. გაიძახის, რომ რუსეთში არის ავტორიტარული რეჟიმი, სადაც ყველაფერი კონტროლდება, მათ შორის ბიზნესი. მაგრამ თვით გამყრელიძის ბიზნესი რატომ არ კონტროლდება და არ იზღუდება, ამაზე რა პასუხი აქვს, ძალიან საინტერესოა.

უამრავი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება.

**— გასაგებია, მაგრამ პოლიტიკოსებში ცოტა ძნელია, ალბათ, რუსეთის აგენტების ამოცნობა.**

— გაგიკვირდებათ და, ესეც მარტივი რამ გახლავთ.

საკითხში უკეთ გასარკვევად, მოდით, ჯერ განვიხილოთ, რა ინტერესები გვაქვს რუსეთთან მიმართებით. ეს ინტერესი, პირველ რიგში, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და უსაფრთხოების პრობლემას ითვალისწინებს, რომელსაც რუსეთთან დიალოგის გარეშე ვერ გადაწყვეტ. უსაფრთხოების და სხვა მნიშვნელობის საკითხები ვერ დარეგულირდება, თუ ამ სუპერძალებთან ურთიერთობა არ მოაწესრიგე.

რუსეთს რომ სურდეს, საქართველოში შეიქმნას ისეთი პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რომელიც შეძლებს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას, ამას მოახერხებდა, რაც ნიშნავს, რომ მას ეს არ აწყობს.

გამოდის, რომ ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთთან პირიპირ დიალოგს ეწინააღმდეგებიან, რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან.

არიან კიდევ სხვა გარე ძალები, რომლებსაც არ სურთ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირება. მთავარი და უმთავრესი მათ შორის გახლავთ სომხეთი, რადგან მას შავი ზღვის აკვატორიაში აფხაზეთზე აქვს პრეტენზია. თუ აფხაზეთში ლტოლვილები დაბრუნდებიან და ეს პრობლემა მოწესრიგდება, იგივე უნდა მოხდეს ყარაბაღშიც. იგივე სურს ამერიკას, რომელიც დაინტერესებულია, რომ ნებისმიერი დავის დროს, რომელიც ევრაზიაში მიმდინარეობს, არბიტრის როლი ითამაშოს, რითაც შექმნას ე.წ. ანაკონდას რკალი რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ.

საქართველო ერთ-ერთი შუამდებარე ტერიტორიაა, რომელზე დომინირებაც განსაზღვრავს „ანაკონდას რკალის“ ეფექტურობას.

საქართველოს რუსეთთან მოლაპარაკება და ჩვენი ინტერესების განხორციელება კატეგორიულად არ აწყობს შეერთებულ შტატებს.

სომხური ლობი რუსეთში და სომხური ლობი ამერიკაში სარგებლობენ ამ ინტერესთა დამთხვევით და ე.წ. ლიბერალური ფლანგის მეშვეობით რუსეთში წარმატებით ახორციელებენ თავიანთ მიზნებს. თუმცა, გარწმუნებთ, ეს დიდხანს არ გასტანს. ლიბერალური პროექტის ნგრევასთან რუსეთში და ამ პროექტის დომინირების დაცემასთან ერთად ამერიკაში, გეოპოლიტიკური ბრძოლა სულ სხვა ჭრილში გადავა.

რუსეთში ლავროვი, მედვედევი, მაგამედოვების კლანი ამ დესტაბილიზაციით იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ, სავარაუდოდ, რუსეთში დიდი წმენდაა მოსალოდნელი, რითაც შანსი ჩნდება მოლაპარაკებების ფანჯარა გაიხსნას და ამ უსასრულო წკვარამიდან გამოვიდეთ.

ვინც ყველაზე მეტს ყვირის, იგინება, იფურთხება და უარყოფს რუსეთს, არის რუსეთის ნებსითი თუ უნებლიე აგენტი. მათი მიზანია, იქამდე მიიყვანონ მდგომარეობა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ნგრევა გამოიწვიონ. ესენი არიან ანტიქართული და აგრესიული რუსული ძალების პირდაპირი აგენტები.

**— ე.ი. სააკაშვილი, ბოკერია და სხვანი და სხვანი, ვინც რუსეთს ლანძღავდნენ და ლანძღავენ, სხვა მანიშნებლებთან ერთად რუსეთის აგენტები გამოდიან?**

— გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი დინამიკა ტრანსნაციონალური, გლობალისტური ძალების საკმაოდ საშიში ფრთაა, რომლის ხელმძღვანელადაც სოროსს მოიხსენიებენ, მაგრამ ნაციონალურ სახელმწიფოებთან ბრძოლაში ეს გაცილებით ფართო ცნებაა.

შესაბამისად, რუსეთის ლიბერალური ფრთის ანარეკლი სწორედ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ადგას გვირგვინივით.

თუმცა ყველაფერი ასე მარტივადაც არ არის. ისინი თუ „რუსეთის აგენტები“ იყვნენ, გამოდის, რომ შესაბამისი დასავლური და ამერიკული ძალების აგენტებიც ყოფილან და ეს, პრინციპში, ლოგიკური ამბავია.

გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილის გაპრეზიდენტებისას ბორის ივანოვი რომ ჩამოვიდა და სააკაშვილს ხელი აუწია. ივანოვი სწორედ იმ ლიბერალური ძალების წარმომადგენელი იყო. სააკაშვილი, მისი ამფსონები და ივანოვი ერთი მიმართულების ხალხი იყვნენ და არიან.

**— ბარემ ესეც ვთქვათ, რას აკეთებს აგენტი, რა არის მისი დანიშნულება და მოქმედების ტაქტიკა?**

— რიტორიკული კითხვაა.

ვინც ზემოთ ვახსენე, ისინი ლანძღავენ რუსეთს, ხოლო უბრალო ადამიანს, რომელიც ქვეყნის სიყვარულის გამო რუსეთის ლანძღვას მოერიდება და მოლაპარაკების მომხრეა, აგენტის ეძახიან.

აგენტურა, როგორც წესი, სხვადასხვა ხერხით მუშაობს. აგენტის ჩანერგვის ერთ-ერთი ხერხი ასეთია: პირს მიაკრავენ ვითოდა დასავლური ორიენტაციის იარლიყს და ევროპა-ამერიკის გავლით უშვებენ სამუშაოდ, ვითომ დასავლეთის მომხრეა, სინამდვილეში კი რუსეთიდანაა შემოგზავნილი.

ასეთი იყო ჩვენი წინა მთავრობა და მისი წარმომადგენლები სააკაშვილის მეთაურობით.

ახლა რუსეთში ძალიან საინტერესო პროცესები ვითარდება. დაახლოებით ერთ წელიწადში ჩვენ დიდი კრისტალიზაციის მოწმენი გავხდებით. დაიწყება დიდი წმენდა, რაზეც ზემოთაც გითხარით. განსაკუთრებით ლიბერალურ ფლანგს შეავიწროვებენ მნიშვნელოვნად.

მოკლედ, საინტერესო პროცესები იწყება რუსეთში, თუმცა ჩვენთან ამაზე ნაკლებს ლაპარაკობენ.

ისევ ძმებ მაგომედოვებს მივუბრუნდები. ისინი დაღესტნელი ტატები (ებრაელები) არიან.

მედვედევის პრეზიდენტობის დროს მათი გავლენები გაიზარდა. ისინი წამყვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდნენ. ნოვოროსიისკის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პორტი, ტამანის პორტი და ა.შ. მათ ხელში იყო. ისინი ცდილობდნენ კონტროლი აეღოთ ხორბლის ექსპორტზე, როსნეფტში ნახევარ წილებს ფლობდნენ და ა. შ.

მაგომედოვებთან ერთად მედვედევისა და დვორკოვიჩის სახელებსაც გავიხსენებ და გეტყვით, რომ ამ კლანების ჩამოცილების პროცესი მინდინარეობს დღეს რუსეთში. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია და თუ ეს პოლიტიკა ვლადიმირ პუტინმა წარმატებით დაასრულა, მისი საბოლოო წარმატება გარდაუვალია.

გლობალურ პოლიტიკას რომ გადავხედოთ, ჩინეთის გარეშე პოლიტიკური პროცესების განხილვა აბსურდია და რაც ხდება რუსეთში, ყველაფერი უნდა გავნიხილოთ ჩინეთის გლობალური ინტერესების ჭრილში.

ჩინეთის მთავარი გასასვლელი

6 გვ.

# სიმბოლურია, რომ სწორედ დიდ ოთხშაბათს, ქრისტეს გაცემის დღეს, ქართველ პარლამენტართა ერთმა ნაწილმა, ნინია კაკაბაძის მხარდაჭერით, კიდევ ერთხელ გასცა ქრისტე...

4 გვ.

უცხოტომელებს, შავკანიანების უფლებებს ვლახავთ, არატოლერანტი ერი ვართ, ერთი სიტყვით, ქართველები რითიც ვამაყობთ, ზუსტად იმას ურტყამენ. რამდენადაც ვიცი ტელეიმედის მფლობელი ბადრი პატარკაციშვილის ქვრივია, ძალიან მაინტერეესებს, ამ ქალბატონს საერთოდ თუ გააჩნია სინდისი, ნუთუ არ ანაღვლებს რას დაემსგავსა ბატონი ბადრის სათაყვანებელი ტელევიზია? ამდენი ღვარძლი და სიბინძურე „რუსთავი-2“-დანაც კი არ მოდის. ყველა ანტიქართული პოზიციის მქონე ხალხი „იმედში“ შეყარეს და ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ღიად ეწევიან ნარკოტიკების რეკლამა-პროპაგანდას. ამ ტელევიზიამ ხალხი იმდენად გააღიზიანა, რომ უკვე იმას ამბობენ, ღირსები არიან რაც საკაშვილმა და ნაცებმა გაუკეთესო. ფაქტია, საქართველოს ტელევიზიები, პრეზიდენტი, სამოქალაქო სექტორის, პოლიტიკური სპექტრის და მთავრობის გარკვეული ნაწილი, სოროსის მიერ მოსყიდული საზოგადოება, ფონდები, მთელი ეს ვერტიკალი ებრძვის ქართულ სახელმწიფოს. ქვეყანაში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ მართლაც გვჭირდება მეორე ბახტრიონი. მაშინ აჯანყება იმიტომ მოხდა, მღვდელი გააუპატიურესო, ახლა მთელი ქვეყანაა გაუპატიურებული. ვინ არის ბახტრიონის მომწყობი, როცა ყველაზე დიდ წმინდანს, თამარ მეფეს რომ გამოგისახავენ პრეზერვატივზე და ამას მოითმენ. ჯერ მავანნი გამოხტნენ ჭრელა-ჭრელა შარვლებით და კოპლებიანი ტრუსებით, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია-ლიბერალიზაცია მოვახდინოთო, ეს რომ შერჩათ, მეორე დღეს წმინდანები გამოსახეს პრეზერვატივებზე. ვეთანხმები იმ ხალხს ვინც ამბობს, თუ წმინდანის ასე გამოსახვა შეურაცხოფა არ არის, მაშინ საკუთარი დედები და ის პერსონები გამოსახონ, ვინც ასეთი თავგამოდებით იცავენ „ნოვატორებსო“. სოციალურ ქსელში ზოგიერთი ისეთი ქალის გამოსახვა მოითხოვეს, რომ მერე თვითონვე უარყვეს, ეგენი რომ დაეხატათ, კაცებს მარტო მოცემულ მომენტში კი არა, საერთოდ აღარ გაუჩნდებოდათ სურვილიო. სხვათა შორის, ტრანსგენდერებზე, სექსუალურ შევიწროებაზე, გენდერულ კვოტირებაზე ისეთი ქალები საუბრობენ, რომლებზეც ნამდვილად არ გაგიჩნდება სურვილი რომ სექსუალურად შეავიწროვო. ხელისუფლება რომ გქვია, მეორე დღესვე უნდა მიგეღო კანონი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის დასჯადობის შესახებ, მაგრამ ფსევდოლიბერალებით გაძეძგილი პარლამენტი ამ კანონის მიმღებია? რა თაობას ზრდიან ფსევდოლიბერალები, ამის დასტურად ილიას უნივერსიტეტიც კმარა. მე არ ვიცი, ამაზე რთული ვითარება როდისმე თუ ყოფილა საქართველოს ისტორიაში. ვფიქრობ, დადგა დრო ქართველმა ხალხმა თავისი სიტყვა თქვას, მაინც და მაინც სახლში უნდა შემოგვეჭრან, ბიჭები უნდა გაგვითხოვდნენ, თითოეულს უნდა შეგვეხოს ეს უბედურება?

**— თქვენი პოზიციიდან გამომდინარე, არ გაგიკვირდეთ, რომ „ელიტარებისთვის“ რუსეთის ინტერესების გამტარებელს წარმოადგენდეთ.**

— „კავკასიაზე“ ტელედებატების დროს, „ტაბულას“ ჟურნალისტმა სალომე უგულავამ საქართველოს ინტერესების დაცვა, პუტინის ნარატივად „შეაფასა“. თურმე მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვა, ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ წასვლა და ა.შ პუტინის ნარატივი ყოფილა. ამ ვითომ პროგრესულ-დემოკრატიულებმა იმ დონეზე შეაძულეს მოსახლეობას ამერიკა და დასავლეთი, რუსეთი რომ შემოვიდეს, შეიძლება ხალხი ყვავილებით დახვდეს. დღეს, ქვეყანაში რეალურად გვაქვს „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ და სოდომისტების მმართველობა. ნელ-ნელა იქით მიდის ყველაფერი, რომ განსხვავებული აზრის გამო, შეიძლება დაგვხვრიტონ. ადრე თუ სატელევიზიო თოქ-შოუებში განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანებსაც იწვევდნენ, ახლა ყველგან კოლექტიური ნაცები სხედან, რადგან ესენი ყოველთვის აგებდნენ დებატებს, ტელევიზიებმა დაასკვნეს, რომ არ ღირს განსხვავებული აზრის მქონე ხალხის მიწვევა. ახლა დასხდებიან ერთად ეს მარგინალები, იდილიას არავინ დაურღვევთ, შვლის ნუკრივით განაბული წამყვანებიც აუმღვრევლად მოისმენენ სტუმრების „ბრძნული“ აზრების ფრქვევას. ამათ რუსული ინტერესების გატარება სხვას როგორ უნდა დააბრალონ, როცა თავიანთი სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობით, რუსეთის წისქვილზე ასხამენ წყალს. საკაშვილი არ იყო, 2008 წლის ომიდან ძალიან მოკლე ხანში, ენგურჰესის მართვა რუსებს ჩააბარა. მე რომ ვამბობ, რუსეთს დაველაპარაკოთ, ურთიერთობა დავალაგოთ ამ ქვეყანასთან-თქო, ეს არის რუსეთის აგენტობა? ვფიქრობ, დაიწყება „კუდიანებზე“ ნადირობა, როგორც შევარდნაძის დროს ებრძოდნენ ზვიადისტებს, როგორც მიშა „ებრძოდა“ კრემლის აგენტებს, „ენვერი“ და რაღაც საქმეები რომ შეთითხნეს, ახლაც იგივე უნდათ, მაგრამ ეს ვერ იმუშავებს. ამათ ისევ ძველი დრო ჰგონიათ, დაიწყებენ თუ არა ამ პროცესებს, ზუსტად მანდ დამთავრდებიან საბოლოოდ, იმიტომ, რომ ყველაზე დიდი რუსეთის აგენტები, თვითონ უზით კაბინეტებში. რუსეთის აგენტობაზე ის ხალხი მელაპარაკება, რომლებსაც ბიზნესი აქვთ რუსეთში, სხვა და სხვა კომპანიების წილებში სხედან და ფულს შოულობენ? რაღაც საეჭვოდ ხდება ყველაფერი, ფსევდოლიბერალები ბიძინა ივანიშვილს რომ ლანძღავენ, ხოლო „ქართულ ოცნებასა“ მთავრობას არ ეხებიან, ეს როგორ გავიგოთ? მიზანმიმართულად ხომ არ ხდება ეს ყველაფერი, რომ ბიძინა ივანიშვილი საბოლოოდ ჩამოიცილონ. აშკარაა, რომ ხელისუფლების გარკვეულმა წრეებმა გაწირეს ბატონი ბიძინა, ილიას ვესროლეთ, ზვიად გამსახურდიას ვესროლეთ, ეს გამყიდველი კასტა ბიძინა ივანიშვილს დაინდობს? შევარდნაძე მისმა მოწაფეებმა, ე.წ. რეფორმატორებმა გაყიდეს, ახლაც ეს ვითომდა რეფორმატორები, სოროსის ლეკვები, ცოტა ხანში ღიად დაუპირისპირდებიან ივანიშვილს, დიქტატორია, არაფორმალური მმართველიაო (ლომჯარიამ უკვე ისაუბრა არაფორმალური მმართველობის მიუღებლობაზე — მ.ს.) და ყველა უბედურებაზე მას შეახოცავენ ხელს.

არ არის გამორიცხული „განახლებული“ საკაშვილის გამოჩენა, ამ ყველაფერს უკავშირდებოდეს, რუსეთში გარკვეულ ძალებს სურთ საკაშვილის „შემოგდება“. რუსეთში არის გარკვეული ძალა, რომელიც ლობირებს საკაშვილს, რომ საბოლოოდ დააქციონ საქართველო.

თავს იმით ნუ დავიმშვიდებთ, რომ საკაშვილს არ მიიღებენ, თავის დროზეც ვამბობდით, ამ გიჟს ვინ აირჩევსო, მაგრამ ორჯერ გახდა პრეზიდენტი. ასე რომ, ხშირ შემთხვევაში ხალხს არც ეკითხებიან. საკაშვილის გამოჩენა, ერთგვარი მესიჯი იყო ხელისუფლებისთვისაც და მოსახლეობისთვისაც, რომ თუ ჭკუით არ მოვიქცევით, ხელისუფლებაში მოაბრუნონ, რაც აუცილებლად გამოიწვევს სამოქალაქო ომს, რასაც საქართველო ვერ გადაიტანს. ამიტომ, თუ ქვეყნის საბოლოო განადგურება, მისი დაქუცმაცება არ გვინდა, პირველ რიგში ხელისუფლება უნდა გაიწმინდოს ფსევდოლიბერალებისგან და დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთი არ დაუშვებს საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განლაგებას, ეს გამორიცხულია. რუსეთი თავის სასიცოცხლო ინტერესებს იცავს, ამიტომ მოვეშვათ ილუზიებს, ნუ ვაიძულებთ ამ უზარმაზარ ქვეყანას კონტრზომები მიიღოს, რაც საბოლოოდ დაასამარებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რუსულ-თურქულ-ირანული ალიანსის შექმნამ, შეიძლება, საბედისწერო როლი ითამაშოს საქართველოსთვის

5 გვ.

სამხრეთ ჩინური ზღვაა, სადაც აშშ-ის, ტაივანისა და იაპონიის რკალია.

აშშ-ი თავის მხრივ ცდილობს დარჩეს დომინანტ ძალად წყნარი ოკეანის რეგიონში, რის გამოც არ აქვს სახარბიელო დამოკიდებულება ჩინეთთან.

ჩინეთს სახმელეთო სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს ე.წ. აბრეშუმის გზის პროექტში.

რუსეთი, როგორც ევრაზიის ცენტრი, ცდილობს იყოს ჩინეთის როგორც მაკონტროლებელი, ასევე მისი თანაბარი პარტნიორიც და ის ამბიციური პროექტიც, რაც პუტინმა წამოაყენა — 75 მლრდ რუბლის დახარჯვა ინფრასტრუქტურაში, რომელიც ტვირთების გადაზიდვის დროს ოპტიმიზაციას და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის გზის ამ მიმართულებით გამოყენებას გულისხმობს, სწორედ ამის დასტურია.

**— საქართველო სად არის აქ?**

— წარმოიდგინეთ, რომ აქ საქართველოს ადგილი, თუმცა მოკრძალებული, მაგრამ მაინც არის. ჩინეთი ანაკლიის საზღვაო პორტით არის დაინტერესებული. კერძოდ იმით, თუ რომელი მხარე გააკონტროლებს ამ პორტს.

ცხადია, აშშ-ი ამის პირველი მოსურნეა, მაგრამ ჩინური ინტერესებიც დიდია ამ საქმეში.

ის, რომ ენერგომატარებლების საქართველოზე გაყვანის გზით, იგივე შაჰდენიზის პროექტით, ბაქო-ჯეიჰანით და სხვ. რუსეთისთვის რომ ზიანი მიგვეყენებინა და გეოპოლიტიკურ თამაშებს მიღმა დაგვეტოვებინა, ფაქტობრივად, მივაღწიეთ ამას და საქართველოზე გადიოდა ეს ხაზები, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვეყანა დაიყო სამ ნაწილად. ისე მოგვივიდა, „გააქეზეს მურია და შეაჭამეს მგელსო“. სანაცვლოდ მივიღეთ 60 მლნ დოლარი წლიური შემოსავალი, ეს მაშინ, როცა საქართველო დღემდე ატარებს მსოფლიო ნავთობის 2%-მდე.

ამ ფონზე ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა იცლება, ლიბერალური მთავრობები ერთმანეთს ცვლიან, ანტიეროვნული პოლიტიკა მძვინვარებს, როგორც აწყობდა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და უმძიმეს დაპირისპირებაში ვართ რუსეთის ფედერაციასთან.

**— ე.ი. მოლაპარაკება ამ ეტაპზე შეუძლებელია?**

— ტყუილია ის, რომ საქართველოს რუსეთთან მოლაპარაკება არ შეუძლია.

რუსეთი, თურქეთი და ირანი გარკვეულ კონსენსუსამდე მივიდნენ. პროექტს დიდი ქურთისტანის შექმნის და ახლო აღმოსავლეთის აღრევისას, რაც იყო აშშ-ის ინტერესებში, დაუპირისპირდა სამი რეგიონული სუპერძალის პრინციპს — თურქულ-რუსულ-ირანულ ალიანსს.

ამერიკა-ისრაელი, შესაბამისად, კვებავდა ქურთულ სეპარატიზმს. ეს ვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს ბედთან, რადგან რუსულ-თურქული კავშირი, ის, რაზეც ლაპარაკობენ დღეს პუტინი და ერდოღანი, პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოსთან.

სამწუხაროდ, ადვილი მოსალოდნელია, რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებამ სამხრეთ კავკასიაში გადმოინაცვლოს.

სამხრეთ კავკასია, რომელიც, ბედად, ჯერჯერობით, არ არის სამხედრო დაპირისპირების არეალი, არის ვაჭრობის საგანი — რუსეთისთვის გეოპოლიტიკური და ინფორმაციულ-პოლიტიკური პირობების შექმნის თვალსაზრისი თ.

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი კვლავ შეეცდება სამხედრო-პოლიტიკური მეთოდებით საქართველოს საკითხის გადაწყვეტას და ამით ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემას ვითომდა მოხსნას, ის აღმოჩნდება სრული იდეოლოგიური ბანკროტი მსოფლიოს თვალში. სწორედ ამიტომ, რუსეთს არ აწყობს საქართველოში საკუთარი ინტერესების გამომხატველი ხელისუფლების — ქართული პოლიტიკური სუბსტრატის არსებობა.

ასევე არ აწყობს ეს დასავლეთსაც.

შესაბამისად, ნგრევის პროცესი, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, აბსოლუტურად ლოგიკურია.

რუსეთი და თურქეთი საოცარი ინტენსივობით ხვდებიან ერთმანეთს და მიმდინარეობს მოლაპარაკებები, როგორ გადაინაწილონ სამხრეთ კავკასია, ხოლო ჩვენი ე.წ. ექსპერტების დიდი ნაწილი გვარწმუნებს, რომ რაკიღა რუსეთს ვებრძვით, თურქეთი ჩვენი მეგობარია...

ამ ვითარებაში მოლაპარაკებების ეფექტურობა, ჯერჯერობით, არარეალურად მეჩვენება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ქრისტე აღსდგა! გემუდარები, ნუ დამტოვებ, მამაო, ობლად...

ეთერ ცაგეიშვილი

ქრისტე აღსდგა! – გილოცავთ.

მანამდე ზეციდან ჩამოვიდა, კაცის სახე მიიღო – ადამიანთა ცოდვებისგან დამძიმებული მიწა შეამსუბუქა და ჩვენს გამო ეწამა.

15 საუკუნის წინ „ტფილისის კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდა ეკლესიაი აღაშენეს“. ტაძრის დასავლეთს ფასადის ფილებზე წარწერაა: „უფალო, მეფე დაჩის შეხეწიე“ – იგულისხმება ვახტანგ გორგასლის ვაჟი, დაჩი უჯარმელი. ტაძარი დღეს – ანჩისხატის სახელითაა ცნობილი.

ანჩისხატი ერთადერთი ტაძარი იყო თბილისში, რომელსაც არაბთა ბატონობის დროს, ზარების რეკვის უფლება ჰქონდა შენარჩუნებული. ამის გამო, მას „ზარების საყდარს“ უწოდებდნენ.

15 საუკუნის წინ დაარსა ალავერდი ერთ-ერთმა ასურელმა მამამ – იოსებ ალავერდელმა.

დიდია ჩემი ტაძარი – სიძველის სიდიდე აქვს, ლოცვის სიდიდე, ჯვრის სიდიდე, მლოცველის სიდიდე.

გააქვს და გამოაქვს მართლმადიდებელი მრევლი დღეს, ვისაც არ ეზარება.

წაიყვანეს იეღოველებმა ჯვარის მატარებელი მართლმადიდებლები.

ქუჩა-ქუჩა, სახლ-სახლ, კარ-კარ დადიან იეღოველები და ინგლისურს გასწავლით უფასოდო – გვთავაზობენ. უფასო ინგლისური სათაგურია მხოლოდ.

რა არის სეპარატიზმი? – სოციალური იზოლაცია არ არის? კანონის დაუმორჩილებლობა არ არის? ცხოვრობენ იეღოველები ასე იზოლირებულად, დგამენ ლიტერატურის სტენდებს იქ, სადაც გარე ვაჭრობა აკრძალულია, აკრავენ ჩემს კარზე ბუკლეტებს, სთავაზობენ ჩემს არასრულწლოვან შვილს მათთან სიარულს უცხო ენის შესასწავლად, უარს ამბობენ ჩვენი სისხლის გადასხმაზე...

სად არის ამ დროს ჩემი ეკლესია, სად არიან ამ დროს ჩემი მღვდლები და ბერები?

კათოლიკურმა ეკლესიამ ბზობას ბზის კონები საჩუქრად დაურიგა თავის მრევლს – მართლმადიდებლებმა ბზის ორი ტოტი 2 ლარად ვიყიდეთ, მარჯანიშვილზე, ეკლესიის წინ დღის ორ საათზე, უკვე 5 ლარად იყიდებოდა ბზის სამი ტოტი – ცოტაღა დაგვრჩაო.

ერთხელ კედი მაჩუქეს – ვიღაც კეთილ ადამიანს ეკლესიისთვის სხვადასხვა ზომის კედები შეუწირია – საწარმო ჰქონია. ხოდა, იარა, იარა ამ კედმა და ჩემამდეც მოვიდა – მღვდლის სახლიდან იარა და ისე მოვიდა ჩემამდე. სულ არ იცის იმ მამაომ, მისი ტაძრისთვის შეწირული კედი თუ ჩემამდე მოვიდა. ხოდა – ეკლესიისთვის და მრევლისთვის შეწირული განკარგვის უფლება თუ აქვს მამაოს სურვილისამებრ – ბზის გაყიდვაც შეუძლია რომ უზრუნველჰყოს მისაღებ ფასად – სურვილი და ნება არა აქვს, უბრალოდ.

უამრავი საეკლესიო სკოლა გვაქვს ქვეყანაში – სადაც გადასახადი იმდენად ძვირია, მე ვერ გავწვდები ჩემი შვილის მიბარებას.

ასამდე უფასო პანსიონატები გახსნეს აჭარაში თურქებმა – სამჯერადი კვება აქვთ ბავშვებს, გაკვეთილების მოშზადებაში ეხმარებიან, მერე ყურანს ასწავლიან და თურქულს.

ჩემს მიწაზე უფასოდ ასწავლიან ყურანს თურქები ჩემს შვილებს, ჩემს დამშეულ შვილებს სამჯერ აჭმევენ დღეში, ისლამისადმი ლოცვის სანაცვლოდ...

ჩემი ეკლესია კი ფულს მთხოვს ჩემი შვილისთვის „მამაო ჩვენოს“ სწავლებაში. მაშინაც კი მთხოვს, თუ ვეტყვი, რომ სოციალურად დაუცველი ვარ და მიჭირს.

და ჰქვია ამ საეკლესიო სკოლებს ამა თუ იმ წმინდანის სახელი: წმინდა ილია მართლის, წმიდა ნინოს, იოანე პეტრიწის, წმიდა გიორგის, კეთილმსახური მეფე თამარის, წმიდა ბარბარეს და ა. შ... ვისია ეს სკოლები? რატომ ჰქვიათ საეკლესიო სკოლა, რატომ არიან წმინდანების სახელობის – თუ ლოცვის და ბიბლიის შესწავლას ვყიდით?

ჩემი წმინდანების ცრემლით და სისხლით გაჯერებულ მიწაზე, წმინდანების ძვლებით დალოცვილ ჩემს მიწაზე – ყურანს ასწავლიან ჩემს შვილებს უფასოდ, უფასოდ ასწავლიან ინგლისურს და იეღოვას...

ზუსტად ორჯერ ნაკლებ ფასად იყიდება სანთელი ეკლესიის გარეთ. ანუ, სანთლის დამზადება იმაზე ორჯერ და მეტჯერ ნაკლები ჯდება – რა ფასიც ეკლესიაში ადევს სანთელს? და რატომ ორმაგდება ეკლესიაში სანთლის ფასი? რა აორმაგებს? ლოცვა? ლოცვას ვყიდით სანთელთან ერთად?

დავანთებ სანთელს, შუამდეც არ არის ჩამწვარი, მოვლენ, ჩააქრობენ და ტომარაში უკრავენ თავს – თავიდან გადასამუშავებლად. ერთმა მოძღვარმა მითხრა, საკმარისია სანთლის თავი მოიწვას, გეთვლებაო. სად მეთვლება, რაში მეთვლება, ვინ მითვლის? ბოლომდე ჩამწვარი სანთლის მადლი მინდა მე. ბოლომდე დასრულებული ლოცვის და ბოლომდე გადაწერილი პირჯვარი მინდა მე.

მინახავს რამდენიმე ტაძარი სადაც არც სანთლების გამყიდველი ზის და არც ფასი ადევს სანთელს – დევს სანთლები და დევს ყუთი – ვისაც რისი საშუალება აქვს იმ თანხას შეწირავს ტაძარს – ოღონდ ქალაქში არ მინახავს – არ

მოვიტყუები – ვინ მოვატყუო, ჩემს თავს ხომ არ მოვატყუებ.

ხოდა, წელსაც, ამჯერადაც აჭარის სოფლებში დაკეტილი დახვდათ ეკლესიის კარები მრევლს, ჩარაზული დახვდათ ეკლესიის ჭიშკარი, არავის დაურეკავს ზარი.

ციხისძირში თავად ააგო სოფელმა ეკლესია. დიდი მრევლი ჰყავს ციხისძირის ტაძარას – მაინც არ ჩერდება ციხისძირის მოძღვარი აღდგომას და შობას სოფლის ტაძარში – დიდ ეკლესიაში უნდა წავიდე, დიდ ეკლესიაში ღვთისმსახურებაში უნდა დავეხმარო მღვდლებსო – ამბობს.

არც ციხისძირის ეკლესიაა პატარა – ეკლესიის სიდიდე ლოცვის სიდიდეზე, მრევლის სიმრავლეზე, რწმენის სიდიდეზეა დამოკიდებული – თორემ, ხუროთმოძღვრება ცალკე აღებული – შენობაა და მეტი არაფერი.

კონცერტია ღვთისმსახურება, რომ ბანის მისაცემად მიატოვო ტაძარი და მრევლი?

შენს სოფელში, უცხო ქვეყნის შვილები ყურანს ასწავლიან შენს შვილებს უფასოდ, კვებავენ და აცმევენ უფასოდ – შენ ტაძრის კარს უკეტავ ცხვირწინ და არ აზიარებ მრევლს, რომელმაც მარხვა შეინახა?

რატომ არ გინდა მოუარო და უპატრონო მართლმადიდებელ მრევლს, მამაო? რატომ არ ცდილობ, საპატრიარქოვ, ჩემი მართლმადიდებელი მრევლის შენარჩუნებას?

რატომ აგდებთ ჩემს ქრისტიანებს იეღოველების ხელში, რატომ ახსნევინებთ ჩემი ბავშვების კისრიდან ჯვარს მაჰმადიანებს?

პოლიტიკოსების და მთავრობის წევრებისთვის, ელჩებისთვის და კონსულებისთვის ხომ გცალიათ, მამაო?

გაჭირვებული ხალხისთვის რატომ არ გცალიათ, გაჭირვებულ მრევლზე რატომ არ შეგტკივათ გული.

გამოდით-თქო, გეხვეწებით უკვე მესამე წელია, გამოდით და ხალხი ნახეთ, ხალხს ესაუბრეთ, ჩამოდით ჯიპებიდან, კაბა თუ გიშლით ხელს, მე დაგეხმარებით ჩამოსვლაში და მოდით ჩვენამდე, მოდით მართლმადიდებლების გულამდე.

წელს გაიჟღერა სურვილმა ხალხში გამოსვლის, ქუჩებში ადამიანთა დალოცვის – სურვილი სურვილად დარჩა – ქუჩაში კი არა – სოფლებში ეკლესიებს მიკეტავთ აღდგომის წმიდა ღამით.

**წაიყვანა ჩემი ქართველი მართლმადიდებელი იეღოველმა და ვაჰაბიტმა, კათოლიკემ და პროტესტანტმა, ევანგელისტურმა და ბაპტისტურმა ეკლესიამ წაიყვანა კიდევ და აგერ, სულ მთლად ჩემს თვალწინ, ღიად მიჰყავს ჟუსლიმან თურქს ყურანის სასწავლად და ალაჰზე დასაფიცებლად.**

ვინ უნდა მოვიდეს და ვის გავატან ჩემს შვილს? ვინ მოვა ჩემს სახლში და ვის გაჰყვება ჩემი შვილი? გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი და იმიტომ, შემტკივა მე ჩემს შვილზე გული და არ შემიძლია, ვერ ვიცოცხლებ, რომ წაიყვანონ, რომ წამართვან.

ბევრი შვილი გყავს, მამაო, ვიცი, კიდევ მეტი შეიძლებოდა გყოლოდა, კიდევ მეტი შეიძლება, რომ გყავდეს. არ გიყვარვართ, მამაო, ისე, როგორც მე მიყვარს ჩემი შვილი, თორემ ვის დაანებებდი ჩემს და-ძმებს, ვის გაატანდი ჩემს და-ძმებს.

ნუ დამტოვებ, მამაო, ობლად, ნუ დამტოვებ ობლად მართლმადიდებელს წმინდათა ძვლებით გაჯერებულ, ღვთისმშობლის კურთხეულ მიწაზე, რამდენჯერ უნდა ჩამოვიდეს უფალი მიწაზე და მიიღოს კაცის სახე, რამდენჯერ უნდა ეწამოს ჩვენს გამო, რამდენი ცოდვა უნდა აგვაცალოს მხრებიდან – რომ ვირწმუნოთ, რომ გვიყვარდეს, რომ დავიცვათ ჩვენი ჯვარი და ჩვენი ტაძარი.

ატარე მამაო, ჯიპი კი არა, ჯვარი ატარე, მამაო, და ნუ დამტოვებ მართლმადიდებელს ობლად, შემიყვარე, მამაო, შვილივით შემიყვარე და აღარ გაგემეტები, ველარ გამიმეტებ, აღარ დამიკეტავ ტაძარს, აღარ მიმცემ ურჯულოს და გადამთიელს, მიპატრონებ და დამიცავ, თუ ისე გეყვარები, როგორც მე მიყვარს ჩემი შვილი.

დამლოცე, მამაო!

555 46 08 04

# ძლიერი რეგიონები

გურჯაანი

## გურჯაანი – ველისციხელებს ეზოებს დატბორვის საფრთხე აღარ ემუქრებათ

სოფელ ველისციხეში, №1 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ბალასტისა და მყარი ნარჩენებისგან სანიაღვრე არხი გაიწმინდა. ნალექის დროს სანიაღვრე არხიდან წყალი გადმოდიოდა, იტბორებოდა გზის სავალი ნაწილი და მოსახლეობის ეზოები.

სამუშაოები ა(ა)იპ მუნიციპალურმა სერვისმა შეასრულა.

## დუშეთი – წინამძღვრიშვილის კოლეჯი ახალგაზრდებს იწვევს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის საგაზაფხულო რეგისტრაციასთან დაკავშირებით. კოლეჯის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ინფორმაცია სასწავლებლის დაარსებისა და სასწავლო მიმართულებების შესახებ. კოლეჯში ახალგაზრდები შეისწავლიან პროფესიულ პროგრამებს, რომლებზეც რეგიონის შრომის ბაზარზე დიდი მოთხოვნაა. საგანმანათლებლო ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოსნოებითა და ლაბორატორიებით.

მიმდინარე სასწავლო წლისთვის საზოგადოებრივი კოლეჯი უკვე აცხადებს სტუდენტების მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: მეფუტკრეობა, მეხილეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, ელექტროობა, სატყეო საქმე, ტრაქტორისტ-მემანქანე, თმის სტილისტი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები მეხილეობის სპეციალობაზე მიიღებენ სტიპენდიას გაეროს განვითარების პროგრამიდან, ხოლო მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალობა კი სრულიად ახალი, გერმანული მეთოდით ისწავლება. მსურველებს მიეცემათ საწარმოში პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობა და შესაბამისი ანაზღაურების მიღება. ჩამოთვლილ სპეციალობებზე სწავლა უფასოა და გაიცემა სახელმწიფო დიპლომი.

შეხვედრას ესწრებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ უნდილაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისა და ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები.

## ფოთის მერია ავარიული სახლის ბინადართა სასცოვრისზე იზრუნებს

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ მოადგილესთან ირაკლი თოფურიასთან ერთად კაცაძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი მოინახულა.

სახლი ავარიულ მდგომარეობაშია და დემონტაჟს ექვემდებარება. მასში ამჟერად ორი ოჯახი ცხოვრობს, რომელთა საცხოვრებელი ფართის პრობლემის მოგვარებაზე ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლება იზრუნებს.

სახლის მობინადრეებთან შეხვედრას საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი თორნიკე შონია და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## ჩოხატაური – აქცია „ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას“

ამაღლების თემში ამ სახელწოდების აქცია გაიმართა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ინიციატივით. შეხვედრაზე სამსახურის წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ, მავნებლის მექანიკური განადგურების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობისა და მობილიზების აუცილებლობაზე. აქციას შეუერთდა ჩოხატაურის მოხალისეთა გუნდი, რომლის წევრებმა მოსახლეობას საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს.

## ლაგოდეხი – 9 აპრილს გმირულად დაღუპული მამუკა ნოზაძის ხსოვნის დღე

1989 წლის ტრაგედიიდან 29 წელი გავიდა. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 21 ადამიანი შეეწირა.

მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი, ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარ დეპუტატ გურამ მაჭარაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე კახა ჯამბურიასთან და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, 9 აპრილს გმირულად დაღუპული მამუკა ნოზაძის ხსოვნის პატივსაცემად ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში გამართულ სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრნენ. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სოფელ კართუბანში მამუკა ნოზაძის საფლავი გვირგვინითა და წითელი ტიტებით შეამკეს.

## სიღნაღი – გზის რეაბილიტაცია სოფელ ჯუგაანში

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ მადონა ბატიაშვილმა სოფელ ჯუგაანში საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 79 521 ლარით ფინანსდება, ორი სახიდე გადასასვლელის მოწყობასა და 537 მეტრზე ასფალტბეტონის საფარის დაგებას ითვალისწინებს.

გზის რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დასრულდება. განახლებული გზით სოფლის ორმოცამდე ოჯახი ისარგებლებს.

## დედოფლისწყარო – მერი დედოფლისწყაროს სათნოების სახლს ეწვია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად დედოფლისწყაროს სათნოების სახლ „სავანეს“ ეწვია და ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა. მერმა და მერიის თანამშრომლებმა ორასოცდაათივე ბენეფიციარს სააღდგომო საჩუქრები გადასცეს.

დედოფლისწყარო

## ზუგდიდი – მოხალისეები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სამუშაოების ფარგლებში, მარტოხელა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საცხოვრებელი სახლების სხვენებისა და დამხმარე ნაგებობების შეწამვლა მიმდინარეობს.

ზედა ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მარტოხელა ოჯახებში მოხალისეების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაიზერ ნანავა გაეცნო.

ზედა ეწერის მსგავსად, მოხალისეთა ჯგუფები შექმნილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

შესაბამისი პესტიციდებით მუშავდება აგრეთვე მიტოვებული შენობა-ნაგებობები.

## მარტვილი – მერი აბედათისა და ბანძის მოსახლეობას შეხვდა

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. ალექსანდრე გრიგალავა მერის წარმომადგენლებთან ერთად აბედათის და ბანძის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერი გაეცნო ადგილობრივთა პრობლემებს და ისაუბრა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდება.

შეხვედრაზე მოსახლეობამ პრიორიტეტად დაასახელა შიდა გზების რეაბილიტაცია და გაზიფიცირება.

მოსახლეობასთან შეხვედრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართება.

ფოთი

## სენაკი – გარეგანათების მოწესრიგება

ქალაქ სენაკის ცენტრალურ პარკში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში გარეგანათების ბოძებზე

# ძლიერი საქართველოსთვის

თეთრიწყარო

დამონტაჟდა დიოდური ნათურები, აღდგენილია დაზიანებული ელექტროსადენები. ანალოგიური სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულშიც.

## ჩხოროწყუ – თათბირი მერის წარმომადგენლებთან

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ მერის წარმომადგენლებთან მორიგი თათბირი გამართა, რომელზეც მუნიციპალიტეტის მერმა მოისმინა ინფორმაცია 2 აპრილს მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფლებში მოსახლეობისთვის ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ. წარმომადგენლების ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, სტიქიის შედეგად 40-მდე საცხოვრებელი სახლის სახურავი ნაწილობრივ დაზიანდა. ქარმა სახურავი ნაწილობრივ გადახადა ასევე ლეგახარეს უბნის საბავშვო ბაღსა და ლესიჭინეს ადმინისტრაციულ შენობებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება შესაბამის სტრუქტურებში წარსადგენად.

დათო გოგუამ მერის წარმომადგენლებს დაავალა, აღრიცხონ მუნიციპალიტეტში არსებული უსახური შენობა-ნაგებობები, რათა შესაბამისმა სამსახურებმა მოახდინონ შემდგომი რეაგირება.

შეხვედრაზე მერის მოადგილემ ვალერი თოდუამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, სპეციალურ კომისიასთან ერთად, სახლში ეწვევიან უკიდურეს საბინაო პირობებში მყოფ ოჯახებს და ადგილზე გაეცნობიან მათს საჭიროებებს.

## ბოლნისის მუნიციპალიტეტი

**ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი:** „უკვე რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტი, ტრადიციულად, სააღდგომო ნობათებს ურიგებს ბოლნისის სათნოების სახლის ბენეფიციარებს და წელსაც, ჩვენი გადაწყვეტილებით, წინასააღდგომოდ, 200 ოჯახს გადავეცით ნობათი. მინდა, თითოეულ მათგანს მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. მართალია ეს არის მცირედი, თუმცა ჩვენ მუდმივად ვზურნავთ შეჭირვებულ ოჯახებზე და წლის განმავლობაში რამდენჯერმე ვატარებთ მსგავს აქციებს. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტი ყოველდღიურად 350 ბენეფიციარს უზრუნველყოფს კვებით. მსგავს აქტივობებს, რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ“.

● ბოლნისის სათნოების სახლის ბენეფიციარებს აღდგომის დღესასწაული ქვემო ქართლის გუბერნატორმა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა მიულოცეს.

გრიგოლ ნემსაძე დავით შერაზადიშვილთან ერთად ბოლნისის

ბოლნისი

სათნოების სახლში ტკბილეულით ხელდამშვენებული მივიდა და მოხუცებს აღდგომის დღესასწაული მიულოცა. ბენეფიციარებმა სტუმრებს გამოჩენილი გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადეს.

ბოლნისის სათნოების სახლში 15 ბენეფიციარი ცხოვრობს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილნი არიან ფართით, საკვებითა და უფასო მედიკამენტებით.

„სათნოების სახლის მოხუცებს, ქვემო ქართლის გუბერნატორთან ერთად ვესტუმრე და აღდგომის დღესასწაული მივულოცე. მათ მუდმივად სჭირდებათ ჩვენი მხრიდან ყურადღება და მოფერება, რაც ნამდვილად არ აკლიათ. სიმბოლურად ტკბილეული მივართვით. მინდა თითოეულ მათგანს გულით მივულოცო ბრწყინვალე აღდგომა, უფალმა დალოცოს ისინი და ჯანმრთელობა არ მოაკლოს“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

## დმანისის მერია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის

დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა მოადგილეებთან და მერიის თანამშრომლებთან ერთად ქალაქ დმანისში 26 სოციალურად დაუცველ ოჯახს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და სააღდგომოდ ნობათი გადასცა.

„დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი ყურადღება. მხარში დგომით და ერთმანეთის ტკივილის გულთან ახლოს მიტანით ჩვენ ძალიან ბევრ პრობლემას მოვაგვარებთ. ჩემი დიდი სურვილია, არც ერთ ოჯახს სოციალური თუ სხვა სატკივარი აღარ ჰქონდეს“, – აღნიშნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა.

## თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში 70 აღსაზრდელზე გათვლილი ახალი საბავშო ბაღი აშენდა. შენობა აღიჭურვა სათანადო ინვენტარით, კეთილმოეწყო ეზო და დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები. თანამედროვე და კეთილმოწყობილი ახალი საბავშვო ბაღი მოემსახურება მიმდებარე დასახლებების აღსაზრდელებსაც. აღსანიშნავია, რომ ბაღის შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

ახალი შენობა 29 მარტს საზეიმო ვითარებაში გახსნეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ჩანქსელიანმა, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა გრიგოლ ნემსაძემ და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ქორიძემ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს თანამედროვე სტადნარტების შესაბამისი, ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა სოფელ სამღერეთშიც, ხოლო ბაღების არსებული შენობების რეაბილიტაცია და აღჭურვა გათვალისწინებულია სოფელ მარაბდაში და სოფელ ჭივჭავში.

ასურეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს: 374 303 ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან- 348 415 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 25 888 ლარი.

## განცხადება დასაქმების მსურველთათვის

ევროკავშირისა და RDFG-ს პროექტის – „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ – ფარგლებში, დასაქმების პროგრამის მეორე ფაზა დაიწყო.

მსურველებს შესაძლებლობა აქვთ 20 აპრილამდე დარეგისტრირდნენ აპლიკანტთა სიაში.

რეგისტრაციისთვის დარეკეთ ნომერზე: 5 99 90 10 82 ან გაგზავნეთ შეტყობინება შემდეგ მისამართზე: lmaisuradze@rdfg.ge

## წალკა – საჩუქრები ბედიანის ბავშვთა სახლის ბინადრებს

ქვემო ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორი გრიგოლ ნემსაძე და წალკის მუნიციპალიტეტის მერი ილია საბაძე, სააღდგომო ღონისძიებების ფარგლებში, დაბა ბედიანის ბავშვთა სახლს ესტუმრნენ და ბავშვებს სააღდგომო საჩუქრები გადასცეს.

## მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნება

სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი პრიორიტეტია, გამომდინარე აქედან ადგილობრივი თვითმმართველობა ეტაპობრივად აშენებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბავშვო ბაღებს.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღი შეემატება, რომლის მშენებლობაც დაგეგმილია, წერეთლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საიმერლოში.

ორსართულიანი საბავშვო ბაღი ოთხ ჯგუფზე იქნება გათვლილი. საბავშვო ბაღის შენობაში მოთავსდება ოთხი სრულფასოვანი საჯგუფო ბლოკი, სამზარეულო ბლოკი და სხვა დამხმარე სათავსოები.

მეორე სართულზე საბავშვო ჯგუფებთან ერთად განთავსდება ადმინისტრაციული სათავსოები და სპორტულ/სახელოვნებო ღონისძიებებისთვის განკუთვნილი დარბაზი. შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირებისათვის.

მოგახსენებთ, რომ ბაღის შენობა–ნაგებობისთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე განთავსებულია, მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა და აგვისტოს ომში გმირულად გარდაცვლილი მებრძოლის ზაზა ბოჭოიძის მემორიალი, პროექტით გათვალისწინებულია მისი ადგილმდებარეობის შეცვლა, კერძოდ კი მემორიალი განთავსდება საბავშო ბაღის გარე პერიმეტრზე.

ბაღის მშენებლობისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 686 000 ლარი. ამჟამად უკვე დასრულდა ტენდერი სამშენებლო სამუშაობზე.

მარნეული

# სოდომის მაფია

უმთავრესი ნახტომი ლგბტ საზოგადოებებმა საბჭოთა კავშირის დაშლისა და ორპოლუსოვანი მსოფლიოს დაცემის შემდეგ განახორციელეს, როდესაც "ადამიანის უფლებების" დასავლური კონცეფცია ღირებულების ერთადერთ შესაძლო სისტემად დამკვიდრდა. 1990 წლის 17 მაისს, აფა-ზე ორიენტირებული და ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მყოფმა ჯანდაცვის მსოფლიო საზოგადოებამ ამოიღო ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციიდან. სწორედ ამ დღეს აღნიშნავს ლგბტ-საზოგადოება ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ.

მოკლედ, გარყვნილება ლეგიტიმირებულ იქნა და მას ფიზიოლოგიური და მორალური ნორმის, ანუ ცხოვრების ალტერნატიული ფორმის ერთ-ერთი ვარიანტის სტატუსი მიენიჭა. შლუზები გაიხსნა, და პათოლოგიური მოვლენა დასავლეთში არნახული სისწრაფით განვითარდა. ლგბტ-თანამეგობრობამ თავის უმთავრეს ამოცანად დაისახა "მოუხსნას ჰომოსექსუალურობას პათოლოგიისა და დევიაციის მარკერი" ყველა ეროვნულ სახელმწიფოში, რაც დაიწყო 90-იანი წლებიდან. ამის პარალელურად მიმდინარეობდა მამათმავლობისთვის დასჯის გაუქმების საყოველთაო პროცესი, რომელიც დღეს მხოლოდ აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში შემორჩა. რუსეთში არსებული შესაბამისი კანონი გაუქმდა 1993 წელს, როდესაც ქვეყანა ევროპის საბჭოში შესასვლელად მოემზადა.

სოდომიტების განსაკუთრებული მდგომარეობის დამტკიცების უმთავრეს საშუალებად იქცა ოჯახის ინსტიტუტის სრული უარყოფის იდეა, რომელსაც ისინი ჩამორჩენილსა და გაცვეთილ მოვლენას უწოდებენ. მაგრამ, როდესაც მიხვდნენ, რომ ამგვარმა მოთხოვნამ შესაძლოა არ გასჭრას, მაშინ ტაქტიკა შეცვალეს და დაიწყეს აქტიური გამოსვლა ერთსქესიანი "ქორწინებების" დასამკვიდრებლად, რითაც ქორწინების ინსტიტუტის შიგნიდან რღვევას შეეცადნენ. სწორედ ეს გახდა სექსუალური რევოლუციის საკვანძო ეტაპი, რომელიც ადამიანის ბუნებისა და დასავლეთის ნაქები "უფლებების" წინააღმდეგაც არის მიმართული. რაც შეეხება ევროპულ უფლებებს, ერთსქესოვანი კავშირები კანონმდებლობისგან ითხოვენ სქესის ცნების, ანუ მამაკაცისა და დედაკაცის, როგორც ადამიანური საზოგადოების ცნების ამოღებას. მათ ნაცვლად უნდა შემოიტანონ ერთგვარი უსქესო არსებები — "დასაქორწინებელი ა", "დასაქორწინებელი ბ", "მშობელი ა", "მშობელი ბ", "პარტნიორი ბ", რომელიც შეაქვთ არა მარტო სამოქალაქო კოდექსში, არამედ იურიდიულ დოკუმენტებშიც, რომელიც არეგულირებს შრომის საკითხებს, სოციალურ უზრუნველყოფას. "მამაკაცი" და "დედაკაცი", "ქმარი" და "ცოლი" როგორც სამართლის სუბიექტები უნდა გაქრნენ. სამართლებრივი სივრცის ჩარჩოში იცვლება ოჯახის, როგორც ასეთის სტრუქტურა, რადგან ერთსქესოვანი ქორწინება გულისხმობს ბავშვთა მიშვილების უფლებას, ეს კი ცვლის ნათესაობის ცნების ხასიათსაც და აუქმებს კავშირს ბიოლოგიურ მშობლებსა და მიშვილებულ ბავშვს შორის. ბავშვები რჩებიან ფესვების გარეშე. ანუ, კანონმდებლობითი აქტით ცდილობენ შეცვალონ ბიოლოგიური რეალობა და შექმნან კაცობრიობის ახალი მოდგმა გადამწყვეტი ნაბიჯი რევოლუციისკენ გადაიდგა კაიროს 1994 წლისა და პეკინის 1995 წლის კონფერენციებზე, რომელიც მიეძღვნა დედამიწის მოსახლეობისა და დედაკაცთა მდგომარეობის საკითხებს. სწორედ აქ მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომლებმაც დასაბამი მისცა ჰომოსექსუალისტთა ქორწინების აღიარებას და ჰომოსექსუალური წყვილებისთვის სამედიცინო ხელშეწყობის ტექნიკის გაფართოებას. საქმე იმაშია, რომ კონფერენციის დოკუმენტებში ოჯახის განსაზღვრება იმდენად გაბუნდოვანებულია, რომ არსებული ტექსტი მათი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასე, მაგალითად, კაიროს კონფერენციის მოხსენებაში "ოჯახი, მისი ფუნქცია, უფლებები, შემადგენლობა და სტრუქტურა" ნათქვამია: "მართალია, სხვადასხვა სოციალური, კულტურული, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემებისთვის დამახასიათებელია ოჯახის განსხვავებული ტიპები, ოჯახი საზოგადოების ძირითადი ბირთვია და როგორც ასეთს უფლება აქვს დაცულ იქნეს და მიიღოს ყოველმხრივი დახმარება". "ოჯახი სხვადასხვა ფორმებს ღებულობს კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებში" მსგავსმა ფორმულირებებმა მაშინ სერიოზული სკანდალი გამოიწვია. მრავალი იურისტი იქვე შენიშნავდა, რომ ამგვარი ფორმულირებები გარდაუვალად მიიყვანდა საზოგადოებას ბუნების საწინააღმდეგო კავშირებამდე. მაგრამ შემაჯამებელ დოკუმენტში შეტანილ იქნა ზოგადი ცნება "წყვილი", რომელსაც დაუმტკიცეს მათთვის აუცილებელი უფლებები. კერძოდ, მითითებული იყო იმ აუცილებლობაზე, რომ "წყვილებსა და ინდივიდებს უნდა გაეწიოს დახმარება ჰყავდეთ შვილები"...

ჰომოსექსუალური ქორწინებების ლეგალიზაცია და დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენება ჰომოსექსუალური პირების მიერ, იურიდიულად გადაწყდა გაერო-ს ჩარჩოებში, რის შემდეგაც ევროპის კავშირი ამ პოლიტიკის დამტკიცებას "ევროპის სივრცეში" შეუდგა. 1994 წლის 8 თებერვლის რეზოლუციაში ევროპარლამენტი წევრი-ქვეყნებისგან მკაფიოდ ითხოვდა ბოლო მოეღოთ ჰომოსექსუალისტებისთვის დაწესებული აკრძალვისთვის ჰყოლოდათ ოჯახი, იძლეოდა რეკომენდაციებს გარანტირებული ჰქონოდათ მთელი რიგი უფლებები, პარტნიორთა რეგისტრაციის შესაძლებლობა და მოხსნილიყო შეზღუდვა ჰომოსექსუალისტთა მიერ ბავშვთა მიშვილებაზე. 2000 წელს, ადამიანის უფლებათა ქარტიაში ევროპის კავშირმა უარი თქვა სქესის მითითებაზე ქორწინების განსაზღვრებისა და ბავშვის უფლებების დამტკიცების სფეროში (ლაპარაკია მშობლების თანასწორუფლებიანობაზე დედისა და მამის ხსენების გარეშე). 2001 წლის 5 ივლისის რეზოლუციაში ევროპარლამენტმა წევრ-ქვეყნებს რეკომენდაცია მისცა შეეცვალათ თავიანთი კანონმდებლობა ჰომოსექსუალისტთათვის თანაბარი უფლებების მინიჭების მხრივ და ევრო კავშირის დღის წესრიგში დაეყენებინათ საკითხი ჰომოსექსუალისტთა შორის ურთიერთობის კანონიკურობის აღიარებაზე.

2003 წელს, ევროპარლამენტმა გაიმეორა თავისი მოთხოვნა მოხსნილიყო ჰომოსექსუალისტთა დისკრიმინაციის ყველა ფორმა (იურიდიული და ფაქტობრივი), კერძოდ, ქორწინებისა და ბავშვთა მიშვილების სფეროში. შემდეგტ, 2006 წლის რეზოლუციაში ქვეყნებს რეკომენდაცია მისცეს მიეღოთ ახალი ზომები ერთსქესოვანი ქორწინებების ლეგალიზაციისთვის და მოუწოდეს ყველას თავიანთი კანონმდებლობა ჰომოსექსუალისტებისადმი უფრო "ლმობიერი" კანონებით შეეცვალა თ. გარდა ამისა, ამავე რეზოლუციით გათვალისწინებულია მთელი რიგი ზომები იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც არაფერს იღონებენ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვლენილი სხვადასხვა ექსცესებისადმი. მოცემული პოლიტიკის გატარების სხვა საკვანძო სტრუქტურად მოგვევლინა ევროპის სასამართლო ადამიანის უფლებების განხრით ევროპის საბჭოში, რომელმაც შექმნა უფლება აკრძალულიყო დისკრიმინაცია სექსუალურ ორიენტაციაზე.

მოკლედ, ერთსქესოვანი ქორწინებების დამტკიცება — ეს არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მკაფიოდ განსაზღვრული კურსი, რომელსაც გააჩნია შორსმიმავალი შედეგები და შესაბამისი იურიდიული ინსტრუმენტების ფართო სპექტრი.

იმისთვის, რათა არ გამოეწვიათ ევროპელთა პირველდაწყებითი მძაფრი საპროტესტო რეაქცია, გარდამავალი ნაბიჯის სახით ევროპის პოლიტიკური ელიტის მაღალმა ეშელონებმა შეიმუშავეს ქორწინების ალტერნატიული ფორმა, ერთსქესიანი პარტნიორობის დარეგისტრირების უფლება, რომლის წყალობითაც ისინი ღებულობდნენ საგადასახადო შეღავათებს და მემკვიდრეობის უფლებებს.

პირველად კანონი ამის შესახებ მიღებულ იქნა დანიაში 1989 წ., ხოლო დღეისთვის ის არსებობს ანდორაში, ავსტრალიაში, ავსტრიაში, ბრაზილიაში, დიდ ბრიტანეთში, უნგრეთში, გერმანიაში, ისრაელში, ირლანდიაში, ისლანდიაში, კოლუმბიაში, ლიხტენშტეინში, ლუქსემბურგში, სლოვენიაში, ფინეთში, ხორვატიაში, ჩეხეთში, შვეიცარიაში, ეკვადორსა და აშშ-ს ზოგიერთ შტატში. ჰომოსექსუალისტებს შეუძლიათ ოფიციალურად დარეგისტრირდნენ იტალიის ზოგიერთ ქალაქშიც. სხვადასხვა ქვეყნებში ეს "კავშირები" სხვადასხვაგვარად იწოდება, განსხვავებულია უფლებების ჩამონათვალიც, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, თუმცა ამით არსი არ იცვლება — ეს არის ჰომოსექსუალისტთა "ქორწინების" დაკანონების პირველი ფორმა. ბრძოლის ალგორითმი კარგად არის შემუშავებული და საკმაოდ მკაფიოდ მუშაობს. ნიადაგის მომზადების შემდეგ,"წინწაწეული" მმართველები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ჰომოსექსუალისტებს უკვე ქორწინების სრული უფლებები მიანიჭეს. პირველი სახელმწიფო, რომელმაც ეს აღიარა, გახდა ჰოლანდია (2001 წ.), შემდეგ ამ გზას დაადგნენ ბელგია (2003), ესპანეთი, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ნორვეგია, შვედეთი, პორტუგალია, ისლანდია, არგენტინა, დანია და აშშსა და მექსიკის ზოგიერთი შტატები. 2013 წლის აპრილს მათ შეუერთდა ურუგვაი და ახალი ზელანდია, 18 მაისს — საფრანგეთი, ხოლო 21 მაისს ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ერთსქესიანი ქორწინიების უფლებას იძლევა ინგლისსა და უელსში. ამჯერად მსგავს კანონპროექტებს განიხილავენ ლუქსემბურგი, ნეპალი და პარაგვაი.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# დიდი ბედუინის საიდუმლო საყვარლის აღიარება



2011 წლის გაზაფხულზე ლიბიის სამთავრობო და ოპოზიციურად ძალებს შორის დაწყებული სამხედრო დაპირისპირება 20 ოქტომბერს ქვეყნის ლიდერის მუამარ კადაფის მკვლელობით დასრულდა. 69 წლის დიქტატორი 18 წლის მეამბოხემ თავში გასროლით მოკლა. ქვეყნის სათავეში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული პოლიტიკოსი, რომელიც ლიბიას 42 წლის განმავლობაში მართავდა, ხელისუფლებიდან სახელმწიფო გადატრიალების შედეგად წავიდა.

დღეს ბევრი მსჯელობს იმაზე კადაფი ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი გმირი იყო თუ სისხლიანი ტირანი, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ლიბიის ლიდერს ქალები და მათ გარემოცვაში ყოფნა უყვარდა. მისი პირადი დაცვის ელიტური ქვედანაყოფიც კი სპეცრაზმელი ქალებისგან შედგებოდა და „ამაზონელები“ როგორც მათ ევროპაში ეძახდნენ, კადაფს 20 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ. კადაფი დარწმუნებული იყო, რომ ქალებს კატების მსგავსად, მეექვსე გრძნობა გააჩნიათ, რომელიც მათ ეხმარება ინტუიციით შეიგრძნონ საფრთხე და იმოქმედონ უფრო სწრაფად, ვიდრე კაცებმა. „ამაზონელები“ კადაფს ქვეყანაში არეულობის დაწყებამდე იცავდნენ, მოგვიანებით კი მათი კვალი გაქრა..

პოლკოვნიკს უჩვეულოდ ჩაცმა უყვარდა – ბედუინების კარავში დაბადებულ პოლიტიკოსს ხშირად იხილავდით ბედუინების ძვირფას სამოსში, რაც პატივმოყვარე იმპერატორის იერს აძლევდა.

ფსიქოლოგები დღემდე ვერ ხსნიან ლიბიის ლიდერის ზოგიერთ ახირებას. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც ფული და ძალაუფლება არ აკლდა, სიცოცხლის ბოლო დღემდე უპირატესობას კარავში ძილს ანიჭებდა. კარავში მართავდა საზეიმო მიღებებს და ნებისმიერ ქვეყანაში გამგზავრებისას, კარავს და საყვარელ აქლემს თან დაატარებდა.

ლიბიელი დიქტატორის პირველი ცოლი მისივე მასწავლებელი იყო, თუმცა ეს ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. მეორე ცოლთან, საფია ფარკაშთან კი დიქტატორს ექვსი ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინა. ცოლებისა და „ამაზონელების“ გარდა, ლიბიის ლიდერის ცხოვრებაში არსებობდა ქალი, რომელსაც უახლოეს გარემოცვაში ყველაზე მეტად ენდობოდა და რომლის გარეშე არც ერთ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ვიზიტზე არ მიემგზავრებოდა.

2011 წელს სკანდალურმა „ვიკილიქსმა“ ამერიკელი დიპლომატების მიმოწერა გაასაჯაროვა. გამოქვეყნებული მასალების თანახმად, ლიბიელ დიქტატორის უახლოეს გარემოცვაში 38 წლის უკრაინელი მედდა, გალინა კოლოტნიცკაია შედიოდა, რომელიც მუამარ კადაფის პირადი ექიმის ფუნქციას ასრულებდა, თუმცა სინამდვილეში დიქტატორის საყვარელი იყო და მასზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ლიბიამდე კადაფის ფავორიტი ქალი კიევის ოლქის ქალაქ ბროვარში ცხოვრობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, მან ჯერ სამედიცინო კოლეჯი, შემდეგ კი სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. 2002 წელს კიევის ერთ-ერთმა დასაქმების საგენტომ ექიმებისა და ექთნებისთვის უცხოეთის ვაკანსიები გამოაცხადა. გალინამ გადაწყვიტა ბედი ეცადა და უცხო ქვეყანაში სამუშაოდ გაემგზავრა. თავიდან ქალი ტრიპოლის სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა, 2008 წლის დეკემბერში კი სამუშაოდ კადაფის კლინიკაში გადავიდა.

არავინ იცის როგორ მოახერხა ქერათმიანმა უკრაინელმა კადაფისთვის თავის შეყვარება, მაგრამ ფაქტია, რომ დიქტატორი მის გარეშე ვერ ძლებდა და ყველაზე მეტად ენდობოდა. უკრაინაში ოფიციალური ვიზიტის დროს, პოლკოვნიკმა გალინას დედა მოინახულა, კარგი შვილის აღზრდისთვის მადლობა გადაუხადა და ძვირფასი საათი აჩუქა, რომელსაც კადაფის ფოტო ამშვენებდა. ცნობისთვის, კადაფი ასეთ საათებს მხოლოდ უახლოესი გარემოცვის წევრებს ჩუქნიდა და ამით ადამიანის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აღნიშნავდა.

„სისულელეა. დედა კადაფის საყვარელი არასოდეს ყოფილა. ჭორების გამო ის თავს ძალიან ცუდად გრძნობს და ადგილს ვერ პოულობს. დედა უბრალოდ, კადაფთან მედდად მუშაობდა და კარგი ანაზღაურება ჰქონდა, რომელიც თვითონაც ყოფნიდა და მეც მეხმარებოდა. ლიბიის ლიდერთან 4 უკრაინელი მედდა მუშაობდა, მაგრამ რატომღაც კადაფი დედაჩემს ყველაზე მეტად ენდობოდა და საქმიან ვიზიტებში ყოველთვის თან დაჰყავდა. კადაფი ბედუინი იყო, ამიტომ უდაბნოძალიან უყვარდა. უდაბნოში ხშირად მიდიოდა და მზლებლებიც მიჰყავდა. უდაბნოს სიცხეში, ორი და სამი თვე კარვებში ცხოვრება და განსაკუთრებით, მუშაობა ძალიან ძნელია, მაგრამ, კადაფს ამის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. უცხოეთში ვიზიტების დროს, თავად კარავში ცხოვრობდა, თანმხლებ პირებს კი ძვირად ღირებულ სასტუმროების საპრეზიდენტო ნომრებში აბინავებდა. დედა ყოველთვის ამბობდა, რომ ის კეთილი და გულისხმიერი ადამიანი იყო, მაგრამ შეეძლო სიმკაცრეც გამოეჩინა – განაცხადა „ვიკილიქსის“ სკანდალური მასალის გამოქვეყნების შემდეგ მედიასთან გალინას ქალიშვილმა ტატიანა კოლოტნიცკაიამ.

2011 წლის 15 თებერვლიდან ლიბიაში კადაფის დამხობის მოთხოვნით, საპროტესტო აქციები დაიწყო. საპროტესტო ტალღა ბევღაზიდან დაიწყო და თანდათან, სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რომელმაც 2000-მდე ადამიანი შეიწირა. არეულობის დაწყებისთანავე, ლიბიიდან უცხოელების ევაკუაცია დაიწყო. გალინა კოლოტნიცკაია უკრაინაში, 2011 წლის 27 თებერვალს სატვირთო თვითმფრინავი **Ил-76**-ით დაბრუნდა. იმავე რეისის მგზავრები იხსენებენ, რომ ქალი საშინლად მთვრალი იყო და თვითმფრინავში დებოში ატეხა.

„ლიბიაში ალკოჰოლური სასმელის მიღების გამო, ადამიანებს ხუთწლიანი ციხე ემუქრებათ, თუმცა კოლოტნიცკაია ისეთი მთვრალი იყო, რომ თვითმფინავში ორმა კაცმა შემოიტანა. როცა მიხვდა, რომ სატვირთო თვითმფრინავის კაბინაში იმყოფებოდა, ქალმა საშინელი ყვირილი ატეხა. ითხოვდა პოლიტების გვარების დასახელებას და მათი სამსახურიდან გათავისუფლებით იმუქრებოდა. ის საშინლად აგრესიული იყო. ამბობდა, რომ კადაფის ქალია და მისი გაბრაზების უფლება არავის აქვს. მგზავრები და ეკიპაჟის წევრები გაოგნებულები უყურებდნენ და რაღაც მომენტში მისი დაბმაც კი დააპირეს, რადგან მასზე ლაპარაკი და შეგონებები არ ჭრიდა – იხსენებს ერთ-ერთი მგზავრი.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, გალინა ჟურნალისტების ალყაში მოექცა, მაგრამ თავის დაძვრენა მოახერხა და ჟურნალისტებს ბროვარში, ახლად შეძენილ ბინაში დაემალა.

სასიკვდილოდ განწირული დიქტატორი კოლოტნიცკაიაზე ადრე მეორე უკრაინელმა მედდამ დატოვა. გალინას მსგავსად, ყოფილ უფროსს ისიც სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა და ლამის, ზებუნებრივ თვისებებს მიაწერდა:

„კადაფთან მუშაობა რომ დავიწყე, 21 წლის ვიყავი და არაბულად ერთი სიტყვაც კი არ ვიცოდი. კადაფი, რომელსაც უკრაინელი მედდები „მამიკოს“ ვეძახდით, ჩვენთან განსაკუთრებით გულუხვი იყო. მე ყველაფერი მქონდა, რაზეც კი მიოცნებია: საკუთარი სახლი, ძვირფასი ავეჯი, პირადი მძღოლი და ა.შ. თუმცა, სახლში მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა მქონდა დამონტაჟებული და ფაქტობრივად, პირადი ცხოვრება არ მქონდა. ლიბიაში ჩასვლიდან პირველ სამ თვეს კადაფის რეზიდენციაში მისვლის უფლება არ მქონდა. ალბათ, „მამიკოს“ ეშინოდა, რომ მისი ცოლი, სოფია იეჭვიანებდა, მაგრამ მალე ეს აკრძალვა მოიხსნა და კადაფისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, რეზიდენციის ხშირი სტუმარი გავხდი. მე და სხვა უკრაინელ მედდებს გვევალებოდა, რომ გამუდმებით ლიბიის ლიდერის ჯანმრთელობის მდგომარეობა გვეკონტროლებინა. ის შესანიშნავ ფორმაში იყო და არტერიული წნევა და გულის რიტმი ახალგაზრდებზე უკეთესი ჰქონდა. უკრაინული პრესა კადაფის ჰარამხანას გვეძახდა, რაც სისულელეა. ჩვენ მისი საყვარლები არასოდეს ვყოფილვართ და მხოლოდ იმისთვის ვეხებოდით, რომ წნევა გაგვეზომა ან ინექცია გაგვეკეთებინა. „მამიკო“ თავის მეგობარ სილვიო ბერლუსკონეზე ფრთხილი და წინდახედული იყო. მას უბრალოდ მოწონდა, როცა გარშემო ლამაზი ნივთები და ადამიანები ეხვია. გაცნობისას ხელი ჩამომართვა და პირდაპირ თველებში ჩამხედა. მოგვიანებით გავიგე, რომ ყველა გადაწყვეტილებას ადამიანთან პირველი შეხვედრისა და ხელის ჩამორთმევის დროს იღებდა. ის უდიდესი ფსიქოლოგი იყო.. კადაფს თან ვახლდი ამერიკაში, იტალიაში, პორტუგალიასა და ვენესუელაში ვიზიტის დროს. თუ კარგ ხასიათზე იყო, გვეკითხებოდა, რამე ხომ არ გვჭირდებოდა და ტანსაცმლის შესაძენად, დამატებით ბონუსებს გვაძლევდა. „მამიკო“ თავის თანამშრომლებს საკუთარი პორტრეტით დამშვენებულ ოქროს საათებს ჩუქნიდა. ეს საათი ნიშნავდა, რომ ლიბიაში ჩვენს წინაშე ნებისმიერი კარი გაიღებოდა და ჩვენი ნებისმიერი პრობლემა მოგვარდებოდა. ვგრძნობდი, რომ მოსახლეობის ერთ ნაწილს კადაფი არ უყვარდა. სამედიცინო პერსონალი ვერც ჩვენ გვიტანდა, რადგან მათზე სამჯერ მეტი ხელფასი – თვეში 3000 დოლარი გვქონდა. მე სხვებზე მეტად გამიმართლა -ტრიპოლიდან თებერვლის დასაწყისში წამოვედი, რადგან ხუთი თვის ორსული ვიყავი და მეშინოდა, რომ „მამიკო“ ჩემს სერბ რჩეულს არ მოიწონებდა. ალბათ კადაფი ღალატს არასოდეს მაპატიებდა, მაგრამ ლიბიიდან გაქცევა სწორი გადაწყვეტილება იყო. როგორც ვიცი, „მამიკო“ ჩემი უკრაინელი კოლეგებისა და საკუთარი შვილებისგან ბოლომდე მასთან დარჩენას და მასთან ერთად სიკვდილს მოითხოვდა“ – იხსენებდა ოქსანა ბალინსკაია.

რაც შეეხება კადაფის ფავორიტ ქალს, გალინა დიდხანს ვერ იჯერებდა, რომ „მამიკო“ აღარ ჰყავდა.

„სამზარეულოში შევედი, რომ ყავა მომედუღებინა. ამ დროს, ტელევიზიით ლიბიის ამბებს გადასცემდნენ და კადაფის სიკვდილის შესახებ გამოაცხადეს. ყავის ჭიქა ხელიდან გამივარდა და ისტერიკა დამეწყო. ბევრი ვერ გამიგებს, მაგრამ ვისაც კადაფთან უმუშავია, იცის, რომ ის ძალიან კეთილი, სამართლიანი და ბრძენი ადამიანი იყო. ცუდად გავხდი, როცა დავინახე მეამბოხეები როგორ სცემდნენ და ამცირებდნენ. ამის ყურება ვერ შევძელი.. ვფიქრობ, რომ ის ევროპის რომელიმე ქვეყანაში უნდა გაქცეულიყო და საერთაშორისო სამართალს ჩაბარებოდა, მაგრამ ძალიან მამაცი იყო და იმედს ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი არ კარგავდა“ -იხსენებს გალინა. ბოლო ინფორმაციით, გალინა თურქ ბიზნესმენზე გათხოვდა და ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გალია ტომსონის სახელით ცხოვობს. კადაფის ფავორიტ ქალს 41 წლის ასაკში მეორე შვილი შეეძინა, რომელსაც რატომღაც, მუამარის ნაცვლად, ნიკოლასი დაარქვა...

**სალომე სახოკია**

# ქალთა „ჯვაროსნული“ ლაშქრობა კაცების წინააღმდეგ სატანის მიერ არის დაგეგმილი?

## რა დაემართათ კაცებს საქართველოში?

„ორი პაციენტი გვყავდა, პირობითად ოთარი და მერი დავარქვათ. ისე მოხდა, რომ მეგობრობდნენ, მუდამ ერთად დადიოდნენ კლინიკის ტერიტორიაზე. ერთ დღეს ოთარი წყლით სავსე აუზში ჩავარდა შემთხვევით. მერის რეაქცია მყისიერი იყო, გადახტა აუზში მის საშველად და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა, რადგან ოთარმა ცურვა არ იცოდა. სამწუხაროდ, იმ ღამეს ოთარმა თავი ჩამოიხრჩო. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მერის კლინიკა უნდა დაეტოვებინა, რადგან მან აბსოლუტურად საღი გონება და ადეკვატური რეაქციები გამოავლინა. მოვიხმე მერი კაბინეტში და ვუთხარი: ორი რამ უნდა გაუწყო. ძალიან კარგი და ძალიან ცუდი. ძალიან კარგი ის არის, რომ მშობლიურ სახლს დაუბრუნდები, ხოლო ძალიან ცუდი ის არის, რომ ოთარის ვეღარ ნახავ, ის ჩამოეკიდა. მერიმ სრულიად მშვიდად მიპასუხა: არა, ექიმო, ოთარი არ ჩამოკიდებულა, მე ჩამოვკიდე გასაშრობად...“ (ავლიპ ზურაბაშვილის მოგონებებიდან).

საზოგადოებაში განგაშია! საქართველოს შსს-ს გამოუქვეყნებია ინფორმაცია, რომ ორი თვის განმავლობაში 855 მამაკაცი დააკავეს ცოლზე ძალადობის ან მუქარის გამო. დეტალები მოცემული არ არის, ციფრი მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რამდენი ზარი შევიდა აღნიშნულ მოცემულობაზე. გადარეულია საზოგადოება, რა დაემართათ კაცებს საქართველოში?

ნამდვილად გადასარევი ამბავია! მოცემული სტატისტიკური მონაცემი რომ გადავიანგარიშოთ, წელიწადში 5–6 ათასამდე მოძალადე ქმარი აღმოჩნდება. ციფრი საგანგაშოა მართლაც, მაგრამ განა რამდენი სტატუსი — ქმარი არის ამ მოცუცქნულ საქართველოში, ღამის ყოველი მეორე ქმარი მოძალადეა? მხოლოდ მამაკაცზე რომ იყოს საუბარი, გაოგნდები და ახლა მხოლოდ ქმარიო? მართლაც, რა ხდება, რა დაემართათ საქართველოში ქმრებს, რატომ ემუქრებიან და ძალადობენ ცოლებზე?

უპირველესაც, აღვნიშნოთ, მართლაც გვიდევს სამწუხარო ფაქტები — ქმრების მიერ მოკლული ცოლებიც და ცოლების მიერ მოკლული ქმრებიც;

სამწუხაროდ, ფაქტებად გვიდევს ქმრების მიერ დასახიჩრებული ცოლების ისტორიებიცა და ცოლების მიერ დასახიჩრებული ქმრების ისტორიებიც.

სხვათა შორის და მავანთა გასაგონად ისიც აღსანიშნია, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში იგივე სურათია ამ მხრივ და საქართველო არ არის ერთადერთი თითით საჩვენებელი.

პირის მიერ პირის მიმართ მუქარა და მუქარის აღსრულება, აბელისა და კაენიდან დაწყებული, ყოველთვის იყო, არის და იქნება, მნიშვნელობა არა აქვს სტატუსს. მაშ, რაშია საქმე, რატომ გახდა „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ თემა, რომ საქართველოში ქმარი კატეგორიულად საშიშ ოჯახის წევრად, მოძალადედ და მკვლელად წარმოჩინდეს?

მასმედიაში ჩასახლებულ პირთა ჯგუფს რომ დავუჯეროთ, ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი ქალების დიდი უმრავლესობა პირში წყალჩაგუბებული პოტენციური სიკვდილმისჯილები არიან, დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც, ქმარი ან წიხლქვეშ გაიგდებს, ან მოკლავს. უსმენს ამ დაბეჯითებულ მტკიცებას შეუმდგარი ქალებისგან ასევე შეუმდგარი ქალი, ფასონად რომ აქვს შეკოწიწებული ოჯახი და იმას კი ვერ იაზრებს, ვინ უქადაგებს და რას, არამედ, აცერცეტებული მზადაა დაანგრიოს ის, რაც რაღაცაირად აქვს — ოჯახი.

ამათ რომ უსმინო, თუ ქმარი ცოლს ფიზიკური სიახლოვისკენ უბიძგებს და ცოლს არ სურს, ძალადობა ყოფილა, ხოლო თუ ცოლი უბიძგებს და ქმარს არ სურს, ქალის დამცირება, შესაბამისად, ყველაფრის ღირსია. ამ „ყველაფერში“ კი მართლაც ყველაფერია...

ხონის შრომა-გასწორების კოლონიაში ცოლის გაუპატიურების გამო სასჯელს იხდიდა სერიოზული, განათლებული კაცი, ნასვამი მისულა სახლში და დასჯის მიზნით ცოლს ზურგი შეუქცევია. კოლონიის კართან იყო ატუზული ქალი, შუამავალს შუამავალზე უგზავნიდა ქმარყოფილს, მაპატიეო, მაგრამ კაცმა არა მხოლოდ მიატოვა, შეიძულა. შვილებმაც არ აპატიეს დედას... ეს რომ ახლა მომხდარიყო, წარმოდგენილი მაქვს, რა ამბავს ატეხდნენ „ქალთა უფლებების დამცველები“.

ახლაც დევს „იუთობიზე“ ჩანაწერი, სადაც ასაკოვანი ქალი დაწვრილებით გვიამბობს, როგორ გაისტუმრა საიქიოში სამი ქმარი წინასწარ განზრახვით. არავითარი მანიაკობა, მათი ქონების დაუფლება იყო მოტივი. ისე მიაჩუმათეს ეს ამბავი, თითქოს ის ქმრები წიწილები იყვნენ.

ვუყურებდი ამას წინათ ამ კაცთმოძულე მდედრებს და ვფიქრობდი, კაცებს კი არა, ნეტავ, ამათ რა სჭირთ-მეთქი? შემდეგ ფიქრი სხვა მხარეს გამექცა: ამ კაცთმოძულე ქალებმა ერთმანეთი სად ნახეს, როგორ შეიკრიბნენ ერთნაირად მოფიქრალები-მეთქი? კიდევ ბევრი კითხვა დამებადა და ამ კითხვა-კითხვაზე, ვეჭვობ, მართებულ დასკვნამდე მივედი — მთელი ეს კაკაფონია ქმარზე მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ!

**SMS** შეტყობინება მომივიდა: „ძალასობისგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზი 11 60 06. მიიღე ინფორმაცია სახელმწიფო უფასო სერვისების შესახებ. დარეკე, რომ დაიცვა თავი ძალადობისგან. ცხელი ხაზი“. უფასო სერვისები ყოფილა ამ დროში, როცა გამარჯობის თქმა ეზარებათ ნისიაზე, მთავარია, გრანტიჭამიათა ინტერესებში მოხვდე. ამ **SMS**-ის შემდეგ ვოცნებობ, ვინმე მეძალადოს, მაგრამ, ვინაიდან ოცნება ოცნებად მრჩება. ღამის არის, თავად ვიძალადო ვინმეზე და თავადვე დავრეკო აღნიშნულ ნომერზე, ძალიან მაინტერესებს კონსულტაციის ტექსტი. ეს — ხუმრობით, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არ არის სახუმარო ზემოთხსენებული ციფრი — 855 მოძალადე ქმარი ორ თვეში!

– ვინაიდან არ არის 855 მოკლული ცოლი — გვიხაროდეს!

– ვინაიდან არ არის 855 დამახინჯებული ცოლი — გვიხაროდეს!

– ვინაიდან არ არის 855 „ჩაფანარებული“ ცოლი — გვიხაროდეს!

აბა, რა არის ეს 855, რა ციფრია, რამდენმა ქმარმაც ცოლს უთხრა, ამოგაძრობ მაგ შხამიან ენას და გულზე ჩამოგიდებო? ან, შენ მო.....ვ დედასო? და შეშფოთებულ-შეშინებულმა ცოლებმა, ვაიმე, მემუქრება ენის ამოძრობით, ან დედაჩემის გაუპატიურება აქვს განზრახულიო, „პატრულ ბიძიებთან“ დარეკეს? — ვერაფერი გამიგია.

სხვათა შორის, დღემდე ტელეეკრანზე ყელყელაობს სიმპათიური ქალბატონი, ქალი-დედა, რომელიც ქმრის წინასწარი განზრახვით მკვლელობის მცდელობაში იყო ბრალდებული (ქმარი მხოლოდ ცოლის სექსუალური პარტნიორის მადლობელი უნდა იყოს, რომელმაც არ იკადრა უკადრებელი). წარმომიდგენია, კაცი რომ იყოს ეს ტელე-სახე, რა ამბავი ატყდებოდა, არათუ ეკრანისთვის გაეკარებინათ. ამ ქალბატონზე კი, რამდენჯერაც ვინმემ გაიხსენა მისი უახლოესი წარსული, იმდენჯერ და იმავ წამს ღამის ჩაქოლეს, სხვის პირად ცხოვრებაში რას იქექებიო. მოკლედ, თუ ქალს საყვარელი ჰყავს და ქმრის მოკვლას დაგეგმავს, პირადი ცხოვრებაა და არაფერი აქვს საერთო ქმრის მკვლელობის მცდელობასთან, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ მოუკლავს, აპირებდა, გრამაფონშია...

ამასწინათ, თანამშრომელმა მამაკაცმა თანამშრომელ ქალს უთხრა, შენ შენი სიკვდილით არ მოკვდებიო და ქალმა კისკისი დაიწყო, დავრეკავ ახლა, სადაც საჭიროა და მოვახსენებ, მოკვლით რომ დამემუქრე, აგერ მყავს ორი მოწმეო. ჩვენ სიცილში ავყევით, მაგრამ კაცი შეფიქრიანდა, ხშირად ვიცი ამ ფრაზის თქმა და სასწრაფოდ უნდა მოვიშორო მეტყველებიდან, ვინმე ისეთს არ ვუთხრა, საშარო საქმე გამიხდესო — კაცი სერიოზულად დაფრთხა!

სტატისტიკა კი დაიდო, მაგრამ იმას აღარ ამბობს, შსს-ში შესული 855 მსხვერპლი ცოლის ზარის შემდეგ რამდენი ოჯახი დაინგრა ან გაიწირა დასანგრევად.

რა ვუშველოთ სტატისტიკას? როგორც ვატყობ, კაცებმა სასწრაფოდ უნდა „ავკრიფოთ“ სტატისტიკა! როგორ? რამდენჯერაც რომელიმე ცოლი რომელიმე ქმარს მიაწყევლის: „შენი კუბო დავდგი“, „გამოგიყვან წირვას“ „დაგასხამ ამ მდუღარე ჩაის თავზე“, „გრეკავ ამ ცხელ ტაფას“, „დაგთხრი თვალებს“, შენ წადი სიკვდილში“ და მისთანები, ქმრებმა სასწეაფოდ უნდა მოუხმონ პატრულს ცოლისგან ჩაგრული პოზით და სტატისტიკური სამართლიანობაც აღდგება. სახუმაროა, ვითომ? მაგრამ სხვა გამოსავალიც ვერ ვნახე ამ ეტაპზე...

მხოლოდ თანამდებობებზე და სკამებზე რომ არის „გენდერული თანასწორობა“ გეზმიმართული, ეს ამბავია საარაკო. არც ერთი ქალთა უფლებების ე.წ. ორგანიზაცია არ იტხოვს, ვთქვათ, ტრაქტორისტ ქალთა კავშირის შექმნას; არც ბარისა და ნიჩბის ართმევას უპირებენ კაცებს; არც კალატოზობასა და სანტექნიკოსობაში ეცილებიან და ა. შ.

ეს კი არა, ისიც „აღმოაჩინეს“, რომ კონსტიტუციის დებულებით გათვალისწინებული მამაკაცის საპენსიო ასაკი — 65 წელი და ქალის 60 წელი დისკრიმინაცია ყოფილა, აშკარად უჩვენებს, რომ მამაკაცი ქალზე ძლიერი ყოფილა. იგულისხმება მეტად სიცოცხლისუნარიანიცა და, საერთოდ, მეტად, მეტად... ამავდროულად, არ უნდა გათანაბრდეს იმგვარად, რომ ქალის საპენსიო ასაკიც 65 წელი იყოს, არ უნდათ პენსიის ხუთი წლით გვიან აღება და მიზეზი მოიდეს, ჯერ სხვა რამეში გავთანაბრდეთ გენდერულადო.

მოკლედ, თუ ხუთი წლით გვიან მიიღებენ ქალები პენსიას, ეს ქალის პირდაპირი ჩაგვრა იქნება, მაგრამ თუ ხუთი წლით ადრე იღებს, ვიდრე მამაკაცი, ესეც ჩაგვრაა, მაგრამ დადებითი სახის ჩაგვრა.

აი, ასეთი ფემინისტური ატმოსფერო იქმნება ხელოვნურად და, შესაბამისად, იდება ალოგიკური ფემინისტური დებულება — მუდმივად იჩაგრება ქალი, რაც ნიშნავს, რომ არასდროს იჩაგრება კაცი. თუ ქალი წაგებაშია — ეს ნეგატიური დისკრიმინაციაა, ხოლო თუ კაცია წაგებაში — პოზიტიური დისკრიმინაცია!

სატანის მოხლაფორთებული მგონია მთელი ეს უბედურება, ქალების და კაცების ორ, ერთმანეთს დაპირისპირებულ ბანაკად დაყოფას რომ ცდილობს...

**გიორგი ჩხეიძე**

# ტერეზა მეის სიცრუეში ადანაშაულებენ...

გასულ კვირას რუსეთის მოთხოვნით გაიმართა ქიმიური იარაღის საწინააღმდეგო ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, თუმცა ხელჩასაჭიდი ფაქტები რუსეთის წინააღმდეგ ბრიტანელებმა ვერ წარმოადგინეს. მიუხედავად ამისა, ყოფილი ჯაშუშის მოწამლვას ინგლისელები რუსეთს აბრალებენ. პრემიერ ტერეზა მეის და სამწუხაროდ, სულ უფრო მეტი მასალები იკვეთება მის საწინააღმდეგოდ, რომელმაც პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთი ტერორისტული აქტის განხორციელებაში. ოპოზიციური, ლეობორისტული პარტიის ლიდერმა ჯერემი კორბენმა პირდაპირ დაადანაშაულა მეი სიცრუეში.

უფრო მეტიც, გასულ კვირას სერგეი სკრიპალის ქალიშვილი ტელეფონით დაუკავშირდა თავის ბიძაშვილს, რომელსაც უთხრა, რომ მამა-შვილი თავს კარგად გრძნობენ. საუბრის ჩანაწერი სწორედ სკრიპალის ძმისშვილმა გაასაჯაროვა, რომელსაც ბრიტანეთში შესვლის ვიზა არ მისცეს. ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, სერგეი სკრიპალი ბოლო წლებში თანამშრომლობდა იმ სპეცსამსახურის წარმომადგენელთან, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტზე, დონალდ ტრამპზე გაავრცელა ცრუ ინფორმაცია. ევროპელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ სახიფათო თამაში წამოიწყო, რაც, ადვილი შესაძლებელია, ტერეზა მეის თანამდებობის ფასადაც დაუჯდესო.

გერმანელმა ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს მოსაზრება, რომ მოწამლვის ფაქტი არც ყოფილა. ამის გარდა, სკრიპალების ოჯახს რამდენიმე ქვეყანა სთავაზობს თავშესაფარს.

აგორებული „სავაჭრო ომი“ დღითიდღე მძაფრდება. საბაჟო გადასახადის გაზრდას ჩინელები გაღიზიანებით შეხვდნენ, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ მათი მოწოდების შემდეგ სანქციებს შეარბილებდნენ, თუმცა ჩინელების იმედები არ გამართლდა. ამიტომაც შეასრულეს დანაქადნი და 128 დასახელების ამერიკულ პროდუქციაზე მათაც გაზარდეს საბაჟო გადასახადი. ამ გარემოებამ განარისხა აშშ-ის ხელისუფლება და დონალდ ტრამპმა კიდევ უფრო გაზარდა იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც საბაჟო გადასახადი გაიზრდება. როგორც ჩანს, ჩინელები არ აპირებენ, უპირობოდ დაემორჩილონ ტრამპის სურვილებს. მათი ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ: „...თუ აშშ-ი უარყოფს დაწესებულ საერთაშორისო ნორმებს, ეს მათი ნებაა, მაგრამ ჩინეთი უკან არ დაიხევს და ბოლომდე იბრძოლებს. ჩვენ გვაქვს საპასუხო გეგმა“.

საინტერესოა ის გარემოება, რომ კვირის დასაწყისში დონალდ ტრამპმა ბალტიისპირეთის ქვეყნების პრეზიდენტებს უმასპინძლა. შეხვედრაზე, თავისთავად, რუსეთის საკითხიც წამოიწია. „...რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ყველა ემხრობა. მათ შორის, მეც... არ ვიცი, როგორ გამოვა, ამას პირველები თქვენ გაიგებთ... რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ყველა ემხრობა, გარდა გონებაჩლუნგებისაო“.

ამერიკული გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, რომ სანქციები კიდევ უფრო გააუარესებს აშშ-რუსეთის ურთიერთობას და ამერიკის პარტნიორებიც იზარალებენო. გაერო-ს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერესიც შეშფოთებულია „სავაჭრო ომით“. მისი თქმით, ამით მსოფლიო ეკონომიკაც დაზარალდებაო. თუმცა დონალდ ტრამპს თავისი ინტერესები აქვს და სხვებსაც აიძულებს, ითამშონ მის სასარგებლოდ.

და კიდევ ერთი ინფორმაცია აშშ-დან, რომელიც მედიცინას უკავშირდება. როგორც ამერიკელი მედიკოსები იუწყებიან, ქვეყანაში გავრცელდა მათთვის ჯერ კიდევ უცნობი ბაცილა, რომელზეც არანაირი ანტიბიოტიკური საშუალება არ მოქმედებს. მისი მიზეზით 3–4 თვეში 2000-ზე მეტი ადამიანია დაღუპულიო. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უცნობი ბაცილა მეცნიერებს საიდუმლო ლაბორატორიიდან გაეპარათ, ისევე, როგორც გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში „შიდსის“ ვირუსი.

განვლილი კვირის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა თურქეთში განვითარდა. ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს უმასპინძლა. თურქეთი ერთადერთი ნატოს წევრი ქვეყანაა, რომელიც რუსეთისგან აპირებს შეიარაღების შეძენას. ერთობლივ პრესკონფერენციაზე ერდოღანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები ამ საკითხზე დასრულებულია და უკვე შეძენა-ჩამოტანა-დამონტაჟება დაგვრჩა მოსაგვარებელიო. მშენებარე გაზსადენის საკითხზე პუტინმა ისაუბრა. „...ჩრდილო ნაკადის მშენებლობაზე ევროპელებთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მაშინ, როდესაც ჩვენ თურქ პარტნიორებთან ერთად სამხრეთის ნაკადის მშენებლობას მალე დავამთავრებთო“. ცნობილია, რომ იარაღისა და გაზსადენის გარდა, თურქეთში რუსეთი ატომურ ელექტროსადგურსაც აშენებს.

ერდოღან-პუტინის შეხვედრის მეორე დღეს ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი შეუერთდა. როგორც იტყობინებიან, სამმხრივი დიალოგი სირიას მიეძღვნა. სამივე ქვეყანა აწარმოებს საომარ მოქმედებებს სირიაში ტერორისტული დაჯგუფებების წინაღმდეგ და სამივეს თავისი ინტერესი აქვს. შორიდან ძნელი სათქმელია, გამონახეს თუ არა საერთო ენა, რადგან ერთობლივ ბრიფინგზე ერდოღანმა ქურთების საკითხი წამოწია, ხოლო პუტინის განცხადებით, აუცილებელია სირიელებისთვის ჰუმანიტარული და მატერიალური დახმარება,. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, შეხვედრაზე აზრთა სხვაობა ყოფილიყო. მსგავსი სამმხრივი შეხვედრა შარშან ნოემბერში სოჭში გაიმართა.

ჩვენთვის, საქართველოსთვის, საინტერესოა, რომ თურქეთიდან დაბრუნებულმა ვლადიმირ პუტინმა მოიწვია რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც ძალოვნებს საზღვრების დაცვის გაძლიერება დაავალა. „...ჩვენი საზღვრები საიმედოდ უნდა იყოს დაცული, კეთილი სტუმრისთვის კი ისინი მუდამ ღიაა“, — განაცხადა მან. აღსანიშნავია, რომ დღემდე რუსეთი საფრთხედ საერთაშორისო ტერორიზმს მიიჩნევდა, მაგრამ ამჯერად, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, საფრთხედ ნატოს ბლოკი დასახელდა. ვფიქრობთ, ღრმა ანალიზის გაკეთება არ გვაწყენდა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# წყაროთმცოდნეობის მონაპოვარი

პროფესორ გონელი არახამიას ახლახან გამოქვეყნებული წიგნი „სასისხლო სიგელთა შესწავლისათვის“ ეხება ქართული ისტორიული დოკუმენტების ერთ-ერთი ჯგუფის — სასისხლო სიგელების წყაროთმცოდნეობით შესწავლას. ავტორის განმარტებით, „ქართულ დიპლომატიკაში სასისხლო სიგელის სახელწოდებით ცნობილია ქართველ მეფეთა მიერ ცალკეული პირებისადმი ბოძებული იურიდიული აქტი, სადაც განსაზღვრულია საბუთის მიმღების მიმართ ჩადენილი ამა თუ იმ დანაშაულის მატერიალური საზღაური ანუ სისხლის ფასი (ვერგელდი)“.

ნაშრომი ყურადღებას, უპირველესად, განხილულ საკითხთა კომპონირებითა და ამ ისტორიული წყაროებისადმი მეცნიერული კვლევის ახალი მეთოდებით იქცევს. მართალია, სასისხლო სიგელთა წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიების ფაქტები ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდეც იყო ცნობილი, მაგრამ გონელი არახამიამ მიაგნო წინამორბედ წყაროთმცოდნეებთან შედარებით არანაკლებ მნიშვნელოვან, მანამდე შეუსწავლელ მასალასაც და შეაფასა იგი.

სწავლულს ზემოთ დასახელებული წიგნის გარდა, აქვს კიდევ რამდენიმე ნაშრომი, რომელთა ჩამოთვლა აქ მეტად შორს წაგვიყვანს. მაგრამ, მაინც, სპეციალისტებსა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირებს ვურჩევ, წაიკითხონ „სასისხლო სიგელთა შესწავლისათვის“. მაშინ ყველაფერში სავალდებულო შეეჭვების გრძნობით შეპყრობილი ოპონენტიც კი კეთილად განეწყობა ავტორის მიერ არჩეული თემის მიმართ და წიგნსაც წინასწარ აკვიატებული აზრის გარეშე მიუდგება.




ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაწარმი სჭარბობს ნაწარმოებს, ანუ მეწარმე ისტორიკოსი შემოქმედ მემატიანეს. ნაწარმი აქ მეცნიერული ნაკვლევია, ნაწარმოები კი — მხატვრულ-ფილოსოფიურად გააზრებული და განზოგადებული მეცნიერება.

ყოველი კატეგორიის რეციპიენტისათვის გასაგებ ენაზე დაწერილი და, ამავე დროს, ნამდვილი წყაროებით გაჯერებული გონელი არახამიას წიგნი ზემოაღნიშნულ „ნაწარმოებივით“ იკითხება. ამით ის უპირისპირდება აქრომატულ ნაწარმს: მეცნიერული ახსნის ადგილზე სიტყვიერი განმარტების დაყენება მხოლოდ კონცენტრირებული შთაბეჭდილებების ექსტერიორიზაციას იწვევს. სწორედ ეს მაქვს მხედველობაში და ამიტომ გავურბივარ ზედმეტ განზოგადებებს და ხაზგასმებს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ სპეციალისტი, რომელსაც ეს წიგნი ხელში ჩაუვარდება, მასში ამა თუ იმ შეცდომას ვერ იპოვის.

რაღა თქმა უნდა, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, საზოგადოებისა და აზროვნების შესახებ ახალი ცოდნის გამომუშავების სფეროში ხშირად ის აღწევს წარმატებას, ვინც აფრას ქარის გეზის გათვალისწინებით აღმართავს. მაგრამ, იშვიათ შემთხვევაში, ისიც იმარჯვებს, ვინც იალქნის მიმართულების მიხედვით ცდილობს ქარის გამოწვევას. ამ მეორე თვითკანონმდებლური გზის მიმდევარი გახლავთ წინამდებარე წიგნის ავტორი.

**ნუგზარ გულორდავა**

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

# „მავნე სისუფთავე“

***ვაგრძელებთ საუბარს პროფესორ რამაზ გახოკიძესთან. ამჯერად, ბატონი რამაზი „საერთო გაზეთის“ მკითხველს „მავნე სისუფთავის“ შესახებ მოუთხრობს:***

### ევრო-რემონტი – ადამიანის ჯანმრთელობის რისკის ფასად?

— მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ერთი შეხედვით ჩვენი ყოფა გაალამაზა: შეცვალა სახლის დიზაინი, ქაღალდის შპალერები გასარეცხმა შპალერებმა შეცვალა, ხის ჩარჩოები — პლასტმასისამ და ა.შ. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ ყველაფერი ბუნებრივი ნაგავს გავატანეთ და ქიმიური პროდუქციით ჩავანაცვლე თ. ჩავთვალეთ, რომ ასე უფრო მოხერხებული და თანამედროვეა.

დიასახლისებმაც გაიხარეს — სახლის დალაგება ბევრად გაიოლდა. თუმცა, მალევე, გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თანამედროვე პლასტიკური მასალები საკმაოდ შხამიანია. მათგან გამოყოფილი საწამლავები, თანდათანობით, შინაგან ორგანოებში გროვდება. სამრეწველო მასალების უწვრილესი ნაწილაკები, გაბინძურებულ ჰაერთან და წყალთან ერთად, კიბოს განვითარების სტიმულირებას იწვევს. მაგალითად, თქვენ აფრქვევთ დეზოდორანტს ან კოლონიის და სხვა მწერების საწინააღმდეგო აეროზოლებს, იყენებთ სხვადასხვა სპრეებს: თმების ლაქს, არომატულ საფრქვეველს ტუალეტისთვის, რასაც გაზმატარებლად გამოყენებული ფრეონები ემატება. აშშ-ში 1500 ქალზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ის დიასახლისები რომლებიც მუდმივად იყენებენ საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებს (აეროზოლები, ასევე, ზედაპირიდან ობის მოსაცილებელი საშუალებები), ძუძუს კიბოთი უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე ისინი, რომლებიც საერთოდ არ იყენებენ გასუფთავების საყოფაცხოვრებო საშუალებებს. ამერიკელ მეცნიერთა მონაცემებით, საყოფაცხოვრებო ქიმიის ზემოქმედება დედის საშოში ბავშვის ეკზემის რისკის განცდას იწვევს.

### ფოსფორშემცველი სარეცხი ფხვნილები კიბოს განვითარების რისკს ზრდის!

ყოველდღიურად თანამედროვე ადამიანი სხვადასხვა ქიმიურ გამწმენდ და სარეცხ საშუალებებს იყენებს. სარეცხი ფხვნილების ძირითად აქტიურ კომპონენტს ე.წ. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები წარმოადგენს. მართალია ისინი ჭუჭყს შლიან, მაგრამ სამაგიეროდ კანში იჭრებიან და ადამიანის ორგანიზმზე ძალიან უარყოფით გავლენას ახდენენ. მაგალითად, იწვევენ ალერგიულ რეაქციებს, არღვევენ იმუნიტეტს, აზიანებენ ტვინს. ჩვენი ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის დიდი ზიანი მოაქვთ ფოსფატებს, რომლებსაც ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებთან ერთად სარეცხი ფხვნილები შეიცავს. ისინი ჩამდინარე წყლებით მდინარეებსა და წყალსაცავებში ხვდებიან და მათ აბინძურებენ, ხელს უწყობენ ციანბაქტერიების გამრავლებას, რომელთა ტოქსინები კიბოს უჯრედების განვითარებას ააქტიურებენ. გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ჰოლანდიასა და ნორვეგიაში უკვე აიკრძალა ფოსფორშემცველი სარეცხი ფხვნილების გაყიდვა. სარეცხი ფხვნილების მავნე ზეგავლენისგან თავის დასაცავად ეცადეთ გამოიყენოთ უფოსფატო ფხვნილები. სარეცხი ფხვნილების მტვერი ადვილად ვრცელდება გარემოში, ამიტომ სარეცხ მანქანას საშხარეულოში ნუ დააყენებთ. ხელით რეცხვისას აუცილებელია გაიკეთოთ ხელთათმანები. გარეცხილ თეთრეულს გულმოდგინედ გაავლეთ, დაახლოებით, ათჯერ ცხელი (50–60გრადუსი) წყალი, რადგან ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები და ფოსფატები ცივ წყალში არ იხსნება.

### უსაფრთხო რეცხვის საშუალებანი!

ფოსფატშემცველი ფხვნილების ერთ-ერთი ალტერნატივაა საპნის საფუძველზე დამზადებული საბავშვო ფხვნილები, თუმცა, ისინი წყალში ცუდად იხსნებიან. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა უსაფრთხო საშუალებებიც: სამეურნეო საპონი შესანიშნავად რეცხავს ნატურალურ ქსოვილს და კიდეც არბილებს, რაც ჩვილი ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია. გამოიყენეთ შემდეგი ხსნარი: ერთ ვედრო თბილ წყალს დაამატეთ 50 გრამი გახეხილი საპონი და სამი სუფრის კოვზი სოდა. მუქ, არამდგრადი შეფერილობის ნივთებს სოდის გამოყენების გარეშე რეცხავენ. აღნიშნული საშუალებით თეთრეული ნორმალურად ირეცხება სარეცხ მანქანაშიც.

სხვადასხვა ქსოვილის გასარეცხად სხვადასხვა შემადგენლობის ფხვნილია საჭირო. მჟავა და ნეიტრალური არე სასურველია ცხოველური წარმოშობის ქსოვილებისაგან (მატყლი, სელი) დამზადებული ნაწარმის გასარეცხად, ზომიერად ტუტოვანი არე კი — ხელოვნური და სინთეზური ქსოვილებისგან დამზადებული ნაწარმის გასარეცხად. ამიტომ, ბამბისა და სელისგან დამზადებული ნაწარმი შესანიშნავად ირეცხება კალცინირებული სოდით (განსაკუთრებით სარეცხ მანქანაში 50–70 გრადუს ტემპერატურაზე). ავტომატში გასარეცხად სარეცხ ფხვნილად შეგიძლიათ მდოგვის გამოყენება, დაახლოებით, 50 გრამი, რომელიც ერთიანად უნდა ჩაყაროთ მანქანაში და არა კიუვეტში არა უმეტეს 40 გრადუს ტემპერატურის პირობებში, რათა მდოგვი არ შეიკრას. მდოგვით შეიძლება მატყლის ნაწარმის გარეცხვა.

საპონას ფესვებით კარგია მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილების გარეცხვა. საპონას ყიდვა შეგიძლიათ ჰომეოპათიურ აფთიაქში ან ბაზარში. 1 კილოგრამ მშრალ ტანსაცმელზე იღებენ 50 გრამ საპონას ფესვებს, ჩაქუჩით ამტვრევენ წვრილ ნატეხებად, ამატებენ ნახევარ ლიტრ მდუღარე წყალს, აყოვნებენ ერთ დღე-ღამეს ხშირი მორევის პირობებში. 24 საათის შემდეგ ერთი საათი დაბალ ცეცხლზე ადუღებენ, მერე აცივებენ, გადაწურავენ მარლაში. მარლაში დარჩენილი საპონას ფესვები შეიძლება კვლავ გამოიყენოთ — დაასხით მდუღარე წყალი და დააყოვნეთ რამდენიმე საათი. ხსნარის გამოყენება შეგიძლიათ ხელმეორედ. მიღებულ საპონას ასხამენ თბილ წყლიან ჯამში, თქვეფენ და თეთრეულს ორ-სამჯერ რეცხავენ.

### ჭურჭლის სარეცხი საშუალებები – უშვილობის გამომწვევია?!

ჭურჭლის „საუკეთესო“ სარეცხ საშუალებათა შემადგენლობაშიც ასევე შედის ჯანმრთელობისთვის მავნე კომპონენტები: ფოსფატები, ქლორი, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ფტალატები. მაგალითად, ქლორი იწვევს ანემიას, ათეროსკლეროზს, ალერგიას, ზრდის კიბოს წარმოქმნის რისკს. ფტალატები ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენს ღვიძლსა და თირკმლებზე, რეპროდუქციულ ორგანოებზე, ნერვულ და ენდოკრინულ სისტემებზე. ითვლება, რომ ეს ნაერთები შესაძლოა აღმოჩნდეს ონკოლოგიურ დაავადებათა, უშვილობისა და ასთმის მიზეზი. ფოსფატების ჭარბი შემცველობა ორგანიზმში იწვევს მაგნიუმის, კალციუმისა და რკინის შეთვისების მოშლას.

* * *

**— ბატონო რამაზ, საყოფაცხოვრებო ქიმიის გარდა კიდევ რა საფრთხეებია?**

— ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ნივთებია: ჰაერის ე.წ. გამაგრილებელი საშუალებანი, რომელთა უმრავლესობა შეიცავს ფორმალდეჰიდს და ნაფტალენებს. სჯობს ისინი ნატურალური საშუალებებით, მაგალითად, ლავანდის ან სხვა ეთერზეთით შევცვალოთ; სამღებრო საშუალებანი (საღებავები, წებოები, გრუნტი), რომლებიც კანცეროგენებს შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას თან ახლავს „ეკოლოგიური სერთიფიკატები“; არ შეინახოთ სახლში საავტომობილო ქიმიის პროდუქტები, რადგან თითქმის ყველა ტოქსიკურია; ფერადი პარაფინული სანთლები, რომელიც წვისას კანცეროგენს გამოყოფს. სჯობს ბამბის პატრუქიანი ბუნებრივი ცვილის სანთლის გამოყენება; განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ ნოხებისა და ავეჯის შამპუნების შერჩევისას; ტარაკნებს და მავნე მწერებს ებრძოლეთ სანიტარიით და არა ქიმიით.

**— ზამთარ-ზაფხულ თითოეული ჩვენგანი კონდიციონერს აქტიურად იყენებს. რამდენად უსაფრთხოა იგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის?**

— კონდიციონერს სიკეთესთან ერთად ზიანის მოტანაც შეუძლია. იგი ადამიანს სერიოზულ განსაცდელს უქმნის, რადგან დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების თავისებურ დამგროვებელს წარმოადგენს. იყო შემთხვევები, როცა კონდინციონერის საშუალებით პნევმონიის ურთულესი ფორმის გამომწვევი ბაქტერიები გავრცელდა. განსაკუთრებით მავნედ მოქმედებს კონდიციონერი იმ პირებზე, რომელთაც აქვთ ქრონიკული დაავადებები, მაგალითად, ჰაიმორიტი ან ქრონიკული ბრონქიტი. აუცილებელია კონდინციონერი გაიწმინდოს წელიწადში ერთხელ, თუმცა ეს არ არის პანაცეა. სასურველია, ოფისებში კონდიციონერები ჩაირთოს სამუშაოს დაწყებამდე 10–15 წუთით ადრე, რადგან მისი ჩართვის შემდეგ ზედაპირზე მყოფი მიკრობების კონცენტრაცია მცირდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

## არკადი მოროზოვი:

# ადამიანს ნებისმიერ ასაკში შეუძლია აქტიური სექსუალური ცხოვრება

ვაგრძელებთ რუბრიკას „გამოჩენილი ქართველი ექიმები“. დღეს ჩვენი სტუმარია ექიმი-სექსოლოგი, ანდროლოგი და სექსოპათოლოგი, ბატონი არკადი მოროზოვი.

**— ბატონო არკადი, თქვენს სამუშაო კაბინეტთან საკმაოდ ასაკოვნები შევნიშნე. რომელ ასაკამდე ინარჩუნებს ადამიანი სქესობრივი ცხოვრების უნარს?**

— ადამიანს ნებისმიერ ასაკში შეუძლია სრულფასოვანი სქესობრივი აქტის განხორციელება. იმის თქმა მინდა, რომ სექსოლოგიაში ასაკს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ჩვენ ვმკურნალობთ ნებისმიერი სახის დაავადებას, რომელიც დღემდე აღწერილია უროლოგიასა და სექსოლოგიაში და არაფრით ჩამოვრჩებით მსოფლიოში აპრობირებული მკურნალობის მეთოდებს.

ევროპასა და ამერიკაში, ძირითადად, კეთდება იგივე, რასაც ვაკეთებთ ჩვენ.

**— ბატონო არკადი, რას ნიშნავს სექსოპათოლოგია? საკუთარ თავს რა უნდა შენიშნონ, რომ მოგმართონ პაციენტებმა?**

— ძალიან კარგი შეკითხვა დამისვით — პაციენტებს ხშირად ეშლებათ, რა არის სექსოლოგია, უროლოგია და ა. შ.

თუ მამაკაცს აქვს პრობლემა, მაგალითად, ერექციული სისუსტე, ნაადრევი ეაკულაცია, ლტოლვის დაქვეითება, ეს არის სექსოლოგიის, იგივე სექსოპათოლოგიის საკითხი. მე, ძირითადად, ვმუშაობ იმ მამაკაცებთან და ქალბატონებთან, რომლებსაც ერექციულ დისფუნქციასა და ანორგაზმიასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

ანორგაზმია საკმაოდ ხშირი შემთხვევაა და მომართვიანობაც ხშირად ხდება, თუმცა არა ისე, როგორც უნდა იყოს. მე ვიცი, რომ საქართველოში ქალბატონებში ანორგაზმია სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ქალბატონები ამას რატომღაც ეგუებიან, ითმენენ და ა. შ. არადა, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს.

**— აქ თუ არსებობს ასაკობრივი ზღვარი?**

— ანორგაზმია არსებობს თავიდანვე. არ ხდება დაკარგვა, ან შეძენა. ქალი ორგაზმის გარეშე შეიძლება მეუღლესთან 15–20 წელიწადი ცხოვრობდეს და მუდმივ დისკომფორტს განიცდიდეს, არადა, როგორც გითხარით, ანორგაზმია განკურნებადია, ოღონდ ექიმს უნდა მიმართონ.

სამწუხაროდ, ამის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა. მიიჩნევენ, რომ არ უნდა მიმართონ ექიმს, ან ამ პრობლემას გინეკოლოგი ანდა უროლოგი გადაჭრის. მსგავსი საკითხები სწორედ ექიმი-სექსოლოგის თემაა.

**— რომელია დაავადება, რომელსაც განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან მამაკაცები?**

— ეს არის პოტენციის დაქვეითება და ყველაზე ხშირ შემთხვევაში, არა ასაკზე, არამედ ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების ჭარბ მოხმარებაზე არის დამოკიდებული. უკვე დადგენილია, რომ თამბაქოს მოხმარება ერექციული დისფუნქციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

წლების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ერექციულ დისფუნქციას მამაკაცებში ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება იწვევდა, მაგრამ ახლა უკვე დადგენილია, რომ დისბალანსი მოსალოდნელია თამბაქოს მოხმარებამაც გამოიწვიოს. აქ, თავისთავად, არაა გამორიცხული ალკოჰოლოს ჭარბი მიღებით გამოწვეული ზიანი.

**— რა არის ნორმა, რა რაოდენობით უნდა მიიღოს ადამიანმა, ვთქვათ, ალკოჰოლი, ჭარბ რაოდენობად რომ არ ჩაითვალოს?**

— მართალია, ადამიანები ინდივიდუალურები არიან და რაც ზოგისთვის ზედმეტია, ვიღაცისთვის ის ნორმაა. დღეში ერთი-ორი ჭიქა ღვინო და 50 გრ სპირტიანი სასმელი ხშირად ჯანმრთელობისთვის აუცილებელიცაა, მაგრამ ჯანმრთელობისთვის ასევე აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესი — დროული ძილი და კვება. აუცილებელია მამაკაცისთვის მუდმივი პარტნიორი ქალბატონის ყოლა, იგივეა ქალბატონებისთვისაც. ორივე სქესის ადამიანისთვის სტაბილური სქესობრივი ცხოვრება აუცილებელია, რაც, თავისთავად ცხადია, დაოჯახებას და მყარ ოჯახს გულისხმობს.

**— ბატონო არკადი, რამდენადაც ვიცი, საქართველოში სულ 10-მდე ექიმი-სექსოლოგი მოღვაწეობს. რა განაპირობებს ამ განხრის სპეციალისტების დეფიციტს?**

— არა მხოლოდ სექსოლოგები, არამედ, საერთოდ, პროფესიონალი ექიმები საქართველოში, არც ისე ბევრია. ექიმობა ჩვენთან ნაკლებად პერსპექტიული გახდა. ახალგაზრდებს აღარ სურთ ამ პროფესიას დაეუფლონ. ისინი თითქმის ათი წელი სწავლობენ მედიცინას და მერე დასაქმდებიან თუ არა, არავინ იცის.

**— ბატონო არკადი, რაკი სექსოპათოლოგიებზე და სექსოლოგიაზე ვსაუბრობთ, აგვიხსენით, გეები, ტრანსსექსუალები, ტრანსგენდერები, ანუ ეგრეთ წოდებული სექსუმცირესობები სექსოპათოლოგების პაციენტები არიან?**

— სექსუმცირესობები სექსოპათოლოგების პაციენტები არ არიან, რადგან ეს სექსოლოგიაში გადახრად არ ითვლება, შესაბამისად, ისინი ჩვენი პაციენტები არ არიან.

სექსუმცირესობების საკითხი ფსიქიატრების, ფსიქოლოგებისა და ენდოკრინოლოგების კვლევის საგანია.

ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლები თავიანთი პრობლემებით იშვიათად მოგვმართავენ, რადგან თვლიან, რომ მათ სექსუალური პრობლემები არ აქვთ და შეიძლება ითქვას, მართლებიც არიან. ისინი ცხოვრობენ ისე, რომ ყოველივე ამას ნორმად მიიჩნევენ...

არკადი მოროზოვს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: 577 48 25 13.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**— გარდამეცვალა ვაჟი. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც ორი წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მე ჩემს ვაჟს სიცოცხლეშივე ვაჩუქე საცხოვრებელი ბინა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ისინი სამოქალაქო წესით დაქორწინებულან. ახლა მისმა მეუღლემ გამომიცხადა, რომ ის ქმრის მემკვიდრეა და მე ვერაფერს მივიღებ. რამდენად სამართლიანია ეს?**

— მეუღლე და შობელი, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არიან პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სამკვიდროს მიიღებენ თანაბარზომიერად. შესაბამისად, თქვენი ვაჟის მიერ დატოვებული ქონება გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად თქვენსა და თქვენ რძალს შორის.

* * *

**— შევიძინე სახლი ერთ-ერთ სოფელში, მაგრამ არ გამაჩნია მიწის ნაკვეთი. მეკუთვნის თუ არა მიწის ნაკვეთი, როგორც სოფელში მაცხოვრებელს?**

— როგორც ჩანს, თქვენ არ გაგაჩნიათ საკომლო მემკვიდრეობით მიღებული მიწა. მიწა სახელმწიფოს საკუთრებაა. ვერ დაგამშვიდებთ. მიწის ნაკვეთი შეგიძლიათ შეიძინოთ, მაგრამ, როგორც სოფლის მაცხოვრებელს, მას უსასყიდლოთ ვერავინ გადმოგცემთ.

* * *

**— როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოვიდგენთ მთლიანად:

**— მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა**

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

**— მაინტერესებს ყველა სასამართლო ინსტანციაში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟების მაქსიმუმი.**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე- 3 ნაწილის მიხედვით,

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3000 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5000 ლარს;

ბ) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ბ.ა) ფიზიკური პირისათვის – 5000 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისათვის – 7000 ლარს;

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

გ.ა) ფიზიკური პირისათვის – 6000 ლარს;

გ.ბ) იურიდიული პირისათვის – 8000 ლარს.

* * *

**— ვყიდულობ ბინას. ვინ უნდა გადაიხადოს აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები — მე თუ გამყიდველმა?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 479-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

* * *

**— მოვალემ გადამიცილა გასესხებული თანხის გადახდის ვადას. შემიძლია თუ არა გადაცილებული დღეებისათვის მოვთხოვო პროცენტებით ან პროცენტიდან პროცენტის გადახდა?**

— დიახ, შეგიძლიათ, თუ ეს საკითხი განხილულ იყო ხელშეკრულების დადებისას და და აღნიშნული მითითებულია ამ ხელშეკრულებაში. დაგიკონკრეტებთ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

2. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

# მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ვალუტები

**დღეისათვის განვითარებული საზოგადოების ეკონომიკური აუცილებლობაა ფულის ღირებულება. ყველა ქვეყანას თავისი კაპიტალი აქვს, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო ამ სახელმწიფოს ფარგლებში, არამედ მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ქვეყნებს შორის მხოლოდ რამდენიმეს გააჩნია სავალუტო ავტორიტეტი. ამიტომ საქმიანი ადამიანები იძულებულნი არიან, ისარგებლონ ამ აღიარებული და ფუნდამენტური ფულადი ნიშნებით.**

**გთავაზობთ ყველაზე ფასიანი და ძვირფასი ბანკნოტების ჩამონათვალს.**

### მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ვალუტა – ქუვეითური დინარი

ქუვეითში თავმოყრილია ნავთობის საბადოები, რისი წყალობითაც ეს ვალუტა სანდო ფულის ნიშნად იქცა. მრავალწლიანი სტატისტიკის თანახმად, ამ ქვეყანაში ყოველი მეთხუთმეტე ადამიანი მილიონერია (მოსახლეობა 3 მლნ.). ქუვეითის დინარმა ლიდერის პოზიცია ჯერ კიდევ 1961 წელს დაიკავა, შეცვალა ინდური რუპია და ღირდა იმდენი, რამდენიც გირვანქა სტერლინგი. დინარის ღირებულების ზრდა განსაკუთრებით 2006–2007 წლებში შეიმჩნეოდა.

### მეორე ადგილი – ბაჰრეინული დინარი

ბაჰრეინი არაბული სახელმწიფოა, უფრო სწორად, ადმინისტრაციული ერთეული. ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტა 1961 წელს შეიქმნა და 1973 წლამდე არაბეთის გაერთიანებული საემიროების მთავარ კაპიტალს წარმოადგენდა. ამ ვალუტის ადგილი განსაზღვრა იმან, რომ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა. ბაჰრეინული დინარის ბანკნოტების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მათზე კულტურის ძეგლები და მრავალფეროვანი ორნამენტებია გამოსახული.

### მესამე ადგილი – ომანური რიალი

სახელმწიფო ომანი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს. თავდაპირველად ამ ქვეყნის ძირითადი ფულადი ნიშნები ინდური რუპია იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანა საიდურ რიალზე გადავიდა, რომელიც მოგვიანებით ომანურმა შეცვალა, ქვეყანაში ახალი ვალუტა შემოიღეს.

### მეოთხე ადგილი – იორდანიული დინარი

რაც უნდა პარადოქსული იყოს, შეუძლებელია იმის ახსნა, რატომ იკავებს იორდანიის ვალუტა მეოთხე ადგილს. ამ ქვეყანას ისრაელი აკონტროლებს, მაგრამ, 1940 წლიდან მოყოლებული, ის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა კარგად არ არის განვითარებული და საბიუჯეტო სახსრების დეფიციტიც შეინიშნება, იორდანიის დინარი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია და დოლარზე და ევროზე ძვირიც კი ღირს.

### მეხუთე ადგილი – გირვანქა სტერლინგი

ეს ვალუტა 1694 წლიდან ისტორიულად ყველაზე სტაბილურია. ფუნტმა დაკარგა პოზიციები მას შემდეგ, რა ამერიკულმა დოლარმა მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან მთელი სავალუტო ბაზარი დაიპყრო.

ბრიტანული ფულადი ერთეული გამოირჩევა სიძვირით და მუდმივობით. ამასთან, ის ტერიტორიული კუთვნილების ნიშნადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მისი დიზაინი შემოქმედებითად არის შექმნილი. ბრიტანულმა ეროვნულმა ვალუტამ პოზიციები ევროკავშირის შექმნის შემდეგაც შეინარჩუნა.

### მეექვსე ადგილი – ევრო

ევროკავშირის ოფიციალური ვალუტა ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის შემადგენლობაში შედის. ევრო ძალიან პოპულარულია და ამერიკულ დოლარს უწევს კონკურენციას. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ევროს იყენებს, როგორც სარეზერვო ფულად ნიშანს.




### მეშვიდე ადგილი – კაიმანის კუნძულების დოლარი

რეიტინგში მეშვიდე ადგილს კაიმანის კუნძულების დოლარი იკავებს. დრეისათვის ეს ვალუტა, რომელმაც იამაიკური დოლარი შეცვალა, ამერიკულ დოლარზეა მიბმული და მასავით არასტაბილურია და მკვეთრი უცაბედი რყევებით გამოირჩევა.

ნაციონალური ვალუტა ეს ფულადი ერთეული 1972 წლის შემდეგ გახდა, მას შემდე, რაც დიდი ბრიტანეთის სავალუტო საბჭო შეიქმნა. კაიმანური დოლარი ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს, რადგან ამ სახელმწიფოს სანაპიროებთან ლოკალიზებულია საერთაშორისო დონის საფინანსო სტრუქტურები. აქვეა განლაგებული ოფშორული ზონა ტურისტული ბიზნესით, რომელშიც ამ ქვეყნის მოსახლეობის 100%-ია დასაქმებული.

### მერვე ადგილი – შვეიცარიული ფრანკი

შვეიცარიაში წარმოებული შოკოლადის, ყველისა და საათების სტაბილურობისა და მაღალი ხარისხის წყალობით, ამ ქვეყნის ფულადი ნიშნები მსოფლიოში სულ უფრო მყარდება. კუპიურების ვერტიკალური დიზაინი ორიგინალურობით გამოირჩევა, რაც უმალ იპყრობს ყურადღებას.

შვეიცარიის საბანკო სისტემა იმგვარად არის მოწყობილი, რომ ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ აბსოლუტურად დაცულია. სწორედ ამის წყალობით არის ფრანკი მსოფლიოს სავალუტო ბაზარზე ასეთი სტაბილური.

### მეცხრე ადგილი – ამერიკული დოლარი

მიუხედავად ამერიკის ეკონომიკის სპეციფიკისა და უზარმაზარი საგარეო სახელმწიფო ვალისა, ეს ვალუტა ლიდერებს შორისაა და მასზე მოდის მსოფლიო კაპიტალის 60%. დოლარის რყევაზე გავლენას ახდენს არა მარტო ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ევროპის ფინანსური მდგომარეობაც.

### მეათე ადგილი – ლიბიური დინარი

რეიტინგში მეათე ადგილი უკავია ლიბიურ დინარს. ერთი დინარი არა 100 არამედ 1000 დირხამისგან შედგება.

მსოფლიო ვალუტების კურსი ყოველწლიურად იცვლება, მაგრამ ამ სიის სამი ლიდერი წლების განმავლობაში ინარჩუნებს პოზიციებს. რა თქმა უნდა, ბანკნოტებს ძვირფასი ლითონისგან არ ამზადებენ, თუმცა ზოგიერთი ეკზემპლარი ნუმიზმატებს შორის ძალიან ძვირად ფასობს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001